



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე

გოგა ფხაკაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ზაზა მეიშვილი,
პროფესორი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილი სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*

თბილისი
2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

გამოყენებულ აბრევიატურათა და აკრონიმთა სია	4
შესავალი	5
I თავი. მოწმეთა გამოკითხვისა და დაკითხვის საკანონმდებლო რეგულაცია მოქმედი და 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მოკლე ისტორიული ექსკურსი)	8
1.1. დაკითხვის წესის მოკლე ისტორიული ექსკურსი	8
1.2. გამოძიების ეტაპზე პირის გამოკითხვის წესი	10
1.3. გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის წესში შეტანილი ცვლილებები	11
II თავი. გამოძიების ეტაპზე პირის მოწმის სახით დაკითხვის წესი	13
2.1. გამოძიების ეტაპზე მოწმედ დაკითხვის წესი	13
2.1.1. მხარეთა უფლებამოსილება გამოძიების ეტაპზე პირის გამოკითხვისას.....	14
2.1.1.1. გამოსაკითხი პირის მიერ ინფორმაციის მიწოდება - უფლება თუ ვალდებულება?	14
2.1.1.1.1. შუალედური დასკვნა გამოკითხვის ნებაყოფლობითობის თაობაზე	16
2.1.1.2. მხარეთა თანასწორობა და თანასწორუფლებიანობის შესახებ	17
2.1.1.2.1. ბრალდების მხარის უპირატესი უფლება: პრივილეგირებული მდგომარეობა თუ გარანტია მართლმსაჯულებისათვის?.....	18
2.1.1.3. შუალედური დასკვნა	22
2.2. კოდექსის მიღევად რეჟიმში მყოფი დებულებანი: პირის საგამოძიებო ორგანოში მოწმის სახით დაკითხვის საგამონაკლისო წესი	23
2.2.1. უფლებათა დაცვის მექანიზმები და გამოწვევები	25
2.3. მოწმეთა უფლებრივი რეჟიმი დაკითხვის პროცესში	26
2.3.1. მაგისტრატი მოსამართლის როლი მოწმეთა დაკითხვის პროცესში	26
2.3.1.1. მაგისტრატი მოსამართლის როლი გამოძიების ეტაპზე მეორე მხარის დასწრების გარეშე ჩატარებულ მოწმის დაკითხვაზე	30
2.3.1.2. შუამდგომლობათა დასაბუთებულობის საკითხი	32
2.4. დაკითხვის ოქმი, როგორც მტკიცებულება	34
2.5. მოწმის ჩვენების სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენება	38
2.5.1. გამოკითხვის ოქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა	38

2.5.2. მოწმის დაკითხვა მეორე მხარის ინფორმირებისა და დასწრების გარეშე (სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-9 ნაწილი)	44
2.5.3. შეჯამება	46
2.6. რეკომენდაციები კანონმდებლობის სრულყოფისათვის	47
დასკვნა	50
ბიბლიოგრაფია	51

გამოყენებულ აბრევიატურათა და აკრონიმთა სია

ქართულად:

- ა. შ. - ასე შემდეგ
- აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები
- გან. - განაცხადი
- გვ. - გვერდი
- ევროპული კონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
- ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
- ევროკომისია - ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია
- ე. ი. - ესე იგი
- ე. წ. - ეგრეთ წოდებული
- იხ. - იხილეთ
- ლათ. - ლათინურად
- მაგ. - მაგალითად
- პარ. - პარაფრაფი
- ჟ. - ჟურნალი
- რედ. - რედაქტორი
- სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი
- სსმ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
- სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- სხვ. - სხვა
- შეად. - შეადარეთ
- შსს - შინაგან საქმეთა სამინისტრო

ინგლისურ ენაზე:

- EMC – Human Rights Education and Monitoring Center/ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
- N - Number ნომერი
- US – United States შეერთებული შტატები
- v. – Versus წინააღმდეგ

შესავალი

მართლმსაჯულების მიზანია დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება. ჭეშმარიტების საპროცესოსამართლებრივი გაგება საქმეზე გამომდინარეობს იმ მტკიცებულებებიდან, რასაც მხარეები წარადგენენ სასამართლო განხილვისას. შეჯიბრებით პროცესში მხარეებზე და მათ მიერ ჩატარებულ ქმედებებზეა დამოკიდებული ჭეშმარიტების განსაზღვრება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რომ პროცესზე წარდგენილი ყველა მტკიცებულება იყოს უტყუარი და კანონიერად მოპოვებული და მათი განხილვა მოხდეს სამართლიან პირობებში. ამ პროცესში კი, მოწმეთა ჩვენებებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. გამოძიების ეტაპზე „დანაშაულთან დაკავშირებით მოწმისაგან ინფორმაციის მიღება შესაძლოა, გამოძიების ცენტრალური საკითხი იყოს“.² ძირითად შემთხვევებში გამოძიება მოწმის დაკითხვის (მოქალაქესთან თანამშრომლობის) გარეშე წარმოუდგენელია; სწორედ აქედან გამომდინარეობს ინფორმაცია, რომელმაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ საქმის გამოძიება უნდა წარმართოს და სასამართლოში მართლმსაჯულება დაადგინოს.³

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ თანამედროვე პერიოდამდე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პალიტრაზე მოწმის უფლებები უკანა პლანზე გახლდათ წარმოდგენილი. სისხლის სამართლის პროცესში მოწმეთა უფლებების საკითხს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა.⁴ საერთაშორისო სამართლებრივი აქტები სისხლის სამართლის პროცესში მოწმეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მითითებას თითქმის არ შეიცავენ;

¹ (ლათ.) „სამართალი სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნება“, Corpus Juris Civilis, დიგესტები 1,1,1.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II-35.

³ *Gehl R., Plecas D.*, Introduction to Criminal Investigation: Processes, Practices and Thinking, Justice Institute of British Columbia, New Westminster, 2016, გვ. 61.

⁴ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 14.

აღნიშნული აქტები მოწმეების დაკითხვას მხოლოდ ბრალდებულის გარანტირებული უფლებების კონტექსტში ახსენებენ და არაფერია ნათქვამი თვით ამ მოწმეთა უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე პროცესის წარმოებისას.⁵ აქედან გამომდინარე, დაკითხვის წესის ისტორიული განვითარების პირობებში, საინტერესოა განვიხილოთ ის პრობლემები, რომლებიც იქმნება ან შესაძლოა შეიქმნას გამოძიების ეტაპზე დაკითხული მოწმის ჩვენების დასაშვებ და უტყუარ მტკიცებულებად მიჩნევის პროცესში.

ნაშრომის მიზანია შეაფასდეს არსებული მდგომარეობა საკანონმდებლო, დოქტრინალური და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და შეძლებისდაგვარად, გაეცეს პასუხი კითხვას, თუ რამდენად შეესაბამება გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის არსებული წესი მხარეთა თანასწორობისა და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. პრინციპს, რომელიც განუყოფელი ნაწილია საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის პროცესისა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა (შემდგომში - სსსკ) სრულიად ახლებურად ჩამოაყალიბა წინასასამართლო გამოძიება და მასზე სასამართლო კონტროლი.⁶ აქედან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია აჩვენოს ის მდგომარეობა, რაც მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის წესის ამოქმედებას მოჰყვა, გაანალიზოს მოწმის დაკითხვის ახალი წესის რისკები მხარეთა თანასწორობის, დაცვის მხარის ინტერესებთან და საჯარო ინტერესთან მიმართებით; ასევე, იმსჯელოს სასამართლოსთვის მიმართვისას შუამდგომლობის დასაბუთების სტანდარტების შესახებ, თუ რამდენად დასაბუთებულია პროკურატურის მიმართვა და სასამართლოს გადაწყვეტილება შესაბამის შემთხვევებში და დასახოს წარმოჩენილ პრობლემათა გადაჭრის სამართლებრივი გზები.

ნაშრომში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში - ევროპული სასამართლო) პრეცედენტული გადაწყვეტილებების ჩვენებით მიმოხილულია

⁵ იხ.: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6 (3) „დ“; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14 (3) „ე“; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მუხლი 8 (2) „ვ“; ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება, მუხლი 21 (4) „ე“; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მუხლი 67 (1) „ე“; აშშ-ის კონსტიტუცია, VI შესწორება. როგორც წესი, მოწმეთა უფლებები სამართლიანი სასამართლოს ცნებაში მოიაზრება.

⁶ აღნიშნულ ტერმინთა შესახებ მსჯელობა იხ.: *ჯორბენაძე ო., ხათაშვილი ე.*, რამდენიმე მოსაზრება ადამიანის უფლებათა შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლის, ბრალეულობის საკითხის განხილვისა და მოწმის დაკითხვის შესახებ, *ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, N1 (53), 2017, გვ. 6 და შემდგომში.

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან მიმართება მაშინ, როდესაც ბრალდებული ვერ ახორციელებს მოწმეთა დაკითხვის გარანტირებულ უფლებას.

მოწმის დაკითხვის პროცედურის სამართლიანობაზე მსჯელობის მიზნებისთვის განხილული იქნება გამოკითხვის ცალკეული ასპექტები, იმდენად რამდენადაც, გარკვეულ შემთხვევაში სწორედ გამოკითხვაზე თანხმობა ან უარი წყვეტს გამოძიების ეტაპზე დაკითხვის ჩატარების საჭიროებას.

წინამდებარე ნაშრომში **კვლევის მეთოდად** გამოყენებულია საპროცესო ნორმების ანალიზი; ემპირიულად გაანალიზებულია გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე განვითარების შესაძლო შედეგები. ასევე, შედარება-შეპირისპირების მეთოდის გამოყენებით შედარებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კანონმდებლობის კვლევები გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის წესთან. ამასთანავე, ზემოთ აღნიშნული საკითხები გაანალიზებულია ქართული სასამართლო პრაქტიკისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტების საფუძველზე.

I. მოწმეთა გამოკითხვისა და დაკითხვის საკანონმდებლო რეგულაცია მოქმედი და 1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მოკლე ისტორიული ექსკურსი)

1.1. დაკითხვის წესის მოკლე ისტორიული ექსკურსი

დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონით დადგენილი მიზნების განხორციელება შეზღუდულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით.⁷ აღნიშნული კონსტიტუციური ბოჭვა გულისხმობს იმას, რომ წინასწარდადგენილ ფარგლებშია განსაზღვრული პროცესის მწარმოებლების ორგანოების უფლებამოსილება და მოქმედების ფარგლები.⁸ ამ ფარგლების განსაზღვრის მხრივ ქართულმა სისხლის სამართლის პროცესმა გრძელი გზა განვლო. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საპროცესო უფლებები ბრალდებულს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.⁹ აღნიშნული გარანტია მოიცავს მტკიცებულებების წარდგენის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და ამ მტკიცებულების თანაბარ მდგომარეობაში გამოკვლევას.¹⁰ დაცული სფერო, ამ შეთხვევაში, წარმოადგენს უფლება, რომ ბრალდებულს ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს ფაქტები, ინფორმაცია საქმეზე ან/და სხვაგვარად იმოქმედოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. შეჯიბრებითობის პრინციპი, სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფის და საქმეზე „სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების“ მიღების წინაპირობას წარმოადგენს.¹¹

⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი დასახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“

⁸ *იზორია ლ.*, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა; ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 18

⁹ საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

¹⁰ შეად. *აქუბარდია ი.*, შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, ჟ. „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, მეორე გამოცემა, 2016 წლის აგვისტო, გვ. 11-12;

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური

დავიწყოთ იქედან, რომ თავდაპირველად არსებული ინკვიზიციური მოდელი შეიცვალა ახალი, შეჯიბრებითი (ადვერსალური¹²) მოდელით; აღნიშნული მოდელი ნაწარმოებია ანგლოსაქსური (საერთო) სამართლის სისტემიდან.¹³ ამდენად, მივიღეთ საინტერესო მდგომარეობა, ერთგვარი შერეული (ასევე, ცნობილი როგორც „ჰიბრიდული“) მოდელი, როცა სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობა რომანულ-გერმანული სამართლის გავლენას განიცდის, ხოლო საპროცესო კანონმდებლობა კი ანგლოსაქსური სამართლის სისტემისა.

საქართველოს სსსკ-ის ცვლილების შემდეგ კანონმდებელმა ბევრი ახალი ცნება და ინსტიტუტი დაადგინა და ამავე დროს წინა კოდექსით¹⁴ დადგენილი საგამოძიებო და საპროცესო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების გამოცდილება ახლებურად შეცვალა. ახალმა კოდექსმა ძველი კოდექსისგან მრავალი ახალი მიდგომა შეიმუშავა და ძველით არსებულს მნიშვნელობა შეუცვალა, მათ შორის ჩვენს მიერ განსახილველ დაკითხვას. დადგინდა გამოკითხვა და დაკითხვის ახლებური წესი. აქ მხოლოდ ტერმინოლოგიურ ცვლილებასთან არ გვაქვს საქმე; ეს სრულიად ახალი მიდგომაა, რომელიც კიდევ უფრო მეტ გარანტიებს ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვისთვის, იგი იმ ეჭვებსაც გამორიცხავს, რაც შესაძლოა არსებობდა წინა კოდექსის მიმართ.¹⁵ ისტორიული გაგებისთვის უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ინიცირებულ და დამტკიცებულ ცვლილებებს იმდროინდელი საპროცესოსამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით სახელისუფლებო და პროფესიული წრეებიდან ძირითადად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და მას იმედით შეჰყურებდნენ.¹⁶

წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, პარ. II-20.

¹² იხ.: *ჰეგერი მ.*, „ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა“, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მეორე გამოცემა, 2016 წლის აგვისტო, გვ. 4.

¹³ *გუგენკო კ. ფ./გოლოვკო ლ. ვ./ფილიმონოვი ბ. ა.*, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, ი. ბონაშვილის, თ. შაყულაშვილის, ვ. ხუციშვილისა და ნ. გოგიაშვილის თარგმანი, რ. გოგშელიძე (რედ.), თბილისი, 2007, გვ. 13.

¹⁴ აქ და შემგომ გამოყენებულ „წინა/ძველ კოდექსში“ იგულისხმება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედებდა; შესაბამისად, კოდექსების დებულებების ერთმანეთთან შედარების დროს „ახალი კოდექსით“ მოვიხსენიებთ საქართველოს მოქმედ, 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ს.

¹⁵ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 17.

¹⁶ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ შეფასებები დეტალურად იხ. შემდეგ პერიოდულ გამოცემებში: *კუბლაშვილი კ.*, სისტემა, რომელიც შევქმენით სწრაფი და ეფექტიანი

საგამოძიებო მოქმედება, რომელსაც „ძველი კოდექსი“ მოწმეთა დაკითხვას უწოდებდა აღარ არსებობს.¹⁷ მის ნაცვლად დადგენილია, ნებაყოფლობითი თანამშრომლობა საგამოძიებო ორგანოებთან, და მათ შორის, დაცვის მხარესთან - გამოკითხვა. დასაწყისისთვის უნდა აღვნიშნოთ ამ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებულ ტერმინთა შინაარსი. პირველ რიგში, კოდექსის წინა რედაქცია გამოკითხვას არ იცნობს; ხოლო დაკითხვის შემთხვევაში განსხვავებულია ის შინაარსი, რომელსაც 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ დაკითხვაში მოიცავს და მოქმედ კოდექსში დაკითხვის ცნების ავტონომიური მნიშვნელობისგან. დაკითხვას მთლიანად ჩამოსცილდა ის წარსული გამოცდილება - საგამოძიებო ორგანოში გამომძიებელთან დაკითხვა, - რომელსაც უკავშირდება საზოგადოების ცნობიერში (თუ არაცნობიერში) დაკითხვისადმი არსებული ანტაგონისტური დამოკიდებულება. ამდენად, გამოძიების ეტაპზე მოწმეების დაკითხვის პროცესში ექსკლუზიურად ბრალდების მხარის სასარგებლოდ დარღვეული ბალანსმა დაცვის მხარეს გადაიწია; რაც, რა თქმა უნდა, მხარეთა თანაწილობისა და შეჯიბრებითობისაკენ გადადმული ნაბიჯია.

1.2. გამოძიების ეტაპზე პირის გამოკითხვის წესი

კანონმდებელმა წინასასამართლო ეტაპზე პირთან/პოტენციურ მოწმესთან გამოძიებლის ურთიერთობისათვის დაადგინა გამოკითხვა. „გამოკითხვა მოქალაქესა და გამოძიებას შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი მექანიზმია“.¹⁸ გამოკითხვის სამართლებრივი ბუნების დასახასიათებლად აუცილებლად უნდა ითქვას, რომ გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი და მეორე, დაუშვებელია გამოსაკითხი პირის იძულება გასცეს ინფორმაცია. პირის გამოკითხვის პროცედურას უნდა შეეცვალა ის მანკიერი პრაქტიკა, რაც საგამოძიებო ორგანოების მიერ იყო დადგენილი. და რაც იმ

მართლმსაჯულების წინაპირობაა, ე. „მართლმსაჯულება და კანონი“, N1 (24), 2010, გვ. 8-10; მეიშვილი ზ., „ადვოკატის როლი სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში“, 24 საათი, N61 (2386), 25 მარტი 2010 წ., გვ. 1; „მოწმეთა დაკითხვის წესი - საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი და ძირითადი შენიშვნები“, *ლიბერალი*, 7 აგვისტო 2015 წ., [<http://liberali.ge/news/view/17958/motsmeta-dakitkhvis-tsesi--sakanonmdelblo-tsvlilebata-proeqti-da-dziritadi-shenishvnebi>] [ბოლო ნახვა: 30.06.2019]; „მოწმის დაკითხვის ახალი წესი - დაკითხვა მაგისტრატის მოსამართლის წინაშე“, *ლიბერალი*, 19 ნოემბერი 2015 წ., [<http://liberali.ge/news/view/19477/motsmis-dakitkhvis-akhali-tsesi--dakitkhva-magistrati-mosamartlis-tsinashe>] [ბოლო ნახვა: 30.06.2019].

¹⁷ თუ სსსკ-ის გარდამავალი დებულების 332-ე მუხლს არ მივიღებთ მხედველობაში; მას ნაშრომის 2.2. ნაწილში შევხებით.

¹⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრი, მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, გვ. 10.

ექსკლუზიურ უფლებას უკავშირდებოდა რომ გამოძიების პროცესში მხოლოდ საგამოძიებო ორგანო იყო უფლებამოსილი მიეღო ჩვენება მოქალაქისაგან.

ყოველივე ეს გამოძიების/წინასასამართლო პერიოდში ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა დასაბუთებული თუ დაუსაბუთებელი ბრალდებებისთვის საგამოძიებო ორგანოთა მხრიდან ადამიანის უფლებათა შელახვის ფაქტებზე და კერძოდ, ბრალდებულზე/დაზარალებულზე და მოწმეებზე იძულების შესახებ. ასევე, ზედმეტია დაცვის მხარის ბრალდებასთან თანასწორობაზე საუბარი, როდესაც შეჯიბრებითობის პრინციპი მხოლოდ ფორმალურად აღაირებულ უფლებად რჩებოდა.¹⁹ ამდენად, ის რასაც 2016 წლამდე დაკითხვა ეწოდებოდა, მთელი თავისი საკანონმდებლო (მაგ., სავალდებულო გამოცხადება გამომძიებელთან) და პრაქტიკაში დამკვიდრებული მნიშვნელობით (მოწმის უფლებების არასათანადოდ გაცნობა, შესაძლო პასუხისმგებლობით იძულება, მოწმეზე ზემოქმედების საფრთხე) ახალი საპროცესო კოდექსით უარი ითქვა.

გამოკითხვის დამახასიათებელია ნებაყოფლობითობა. გამომძიებელს, პროკურორს, ანუ ბრალდების მხარეს²⁰ და ბრალდებულს, მის ადვოკატს, ანუ დაცვის მხარეს²¹, შეუძლიათ პირს მიმართონ თანამშრომლობისთვის - გასცეს ამა თუ იმ გარემოების/ფაქტის შესახებ ინფორმაცია. ამ პროცესში ნებისმიერი სახის იძულება პირის ნებაზე - მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია - დაუშვებელია.²²

1.3. გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის წესში შეტანილი ცვლილებები

გამოძიების ეტაპზე საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლში ჩამოთვლილი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვის არსებული საგამონაკლისო შემთხვევებიდან ექვსი წინაპირობა „მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, როგორც მოწმის სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა“.²³ მოწმის ჩვენება სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაციაა.²⁴ წინასასამართლო გამოძიებისას მიმდინარეობს მხარეების მიერ

¹⁹ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), *ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, N2 (50), 2016, გვ. 16.

²⁰ საქართველოს სსსკ, მუხლი 3 (6).

²¹ საქართველოს სსსკ, მუხლი 3 (7).

²² იხ.: საქართველოს სსსკ, მუხლი 113 (1).

²³ *დე ვილდე ბ., ვოგლერი რ.*, მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, ბურჯანაძე გ., ჩიტინე გ., ჯეირანაშვილი ნ. (რედ.), თბილისი, 2015, გვ. 46.

²⁴ იხ.: საქართველოს სსსკ, მუხლი 3 (24).

პირთა გამოკითხვა. მხოლოდ შესაბამისი პირობების არსებობისას ჩატარდება გამოძიების ეტაპზე დაკითხვა.

შემდგომ, მოწმეთა გამოძიების ეტაპზე დაკითხვის საფუძვლებს 2010 წლის 30 სექტემბრის ცვლილებით დაემატა კიდევ ორი წინაპირობა,²⁵ რომელთაც მოკლედ დავახასიათებთ როგორც „საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების მოთხოვნის შესრულება“.²⁶ ასევე, თუ უცხო სახელმწიფოში მყოფმა პირმა დაკითხვაზე პირდაპირი და აშკარა თანხმობა გამოხატა პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი უფლებამოსილია დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დაკითხოს პირი გამოძიების ეტაპზე.²⁷ აღნიშნული საფუძვლები მოწმის დაკითხვის წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს,²⁸ იმდენად, რამდენადაც მოწმე დაიკითხება მხოლოდ სასამართლოში არსებითი განხილვის დროს.

გარდა ამისა, აღნიშნულ შემთხვევებს კიდევ უნდა დავუმატოთ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ერთი ნორმა: როდესაც მხარე გარკვეულ გარემოებებზე დაყრდნობით დაასკვნის რომ პირი ფლობს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციას და ეს პირი გამოკითხვაზე - ნებაყოფლობით გასცეს ინფორმაცია - უარს ამბობს.²⁹ ეს შემთხვევა გამონაკლისებისაგან ცალკე იმიტომ გამოყვავით, რომ ამ საფუძვლით პირის მოწმის სახით დაკითხვა მაგისტრატის მოსამართლის წინაშე მხოლოდ ბრალდების მხარეს შეუძლია. აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად შეიცვალა გამოკითხვის წესიც.³⁰ სსსკ-ის 113-ე მუხლის მე-8 ნაწილში ჩაიწერა: თუ გამოკითხვას ბრალდების მხარე ატარებს, იგი პირის, სხვა უფლებებთან/მოვალეობებთან ერთად განუმარტავს, რომ უარის შემთხვევაში, შესაძლოა მაგისტრატ მოსამართლესთან იყოს დაბარებული ჩვენების მისაცემად. შეიძლება ითქვას, ხსენებულმა ცვლილებამ არამყარ ნიადაგი შექმნა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობისათვის, მათ შორის, პირის ნება შეიზღუდა - უარის შემთხვევაში მაგისტრატ მოსამართლესთან სავალდებულო დაკითხვით. მაგრამ უმთავრესი პრობლემა - ანტაგონიზმი სისხლის სამართლის აღიარებულ პრინციბთან სსსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილისა იმაში ვლინდება,

²⁵ საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-15 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

²⁶ დე ვილდე ბ., ვოგლერი რ., მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, ბურჯანაძე გ., ჩიტინე გ., ჯეირანაშვილი ნ. (რედ.), თბილისი, 2015, გვ. 46.

²⁷ საქართველოს სსსკ, მუხლი 113 (13).

²⁸ შეად. ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 379.

²⁹ საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (2).

³⁰ იხ.: საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის კანონი №4677 - ვებგვერდი, 29.12.2015წ.

რომ ბრალდების მხარის მიერ (უპირატესი უფლებით³¹) ჩატარებულ დაკითხვას დაცვის მხარე არ ესწრება.³² ეს უკანასკნელი კანონისმიერი პირობაა, რომელსაც, შესაბამისი განვითარების პირობებში, დამაზიანებელი გავლენა ექნება მთლიანად დაცვის მხარის, ბრალდებულის ინტერესებისადმი და ზოგადად, პროცესის სამართლიანობაზე. ამ საკითხის შესახებ ნაშრომის მომდევნო ნაწილებში ვისაუბრებთ.

II. გამოძიების ეტაპზე პირის მოწმის სახით დაკითხვის წესი

2.1. გამოძიების ეტაპზე მოწმედ დაკითხვის წესი

გამოძიების ეტაპზე პირის მოწმედ დაკითხვა სსსკ-ით დადგენილი შეჯიბრებითი პროცესისთვის სისტემისთვის არც იმდენად ახალი ცნებაა, მაგრამ იგი ბოლო დრომდე არ მოქმედებდა. საბოლოოდ, მოწმის ახალი წესით დაკითხვა, როგორც ასეთი, 2016 წლის 20 თებერვალს ამოქმედდა.

2009 წლის 9 ოქტომბრის საპროცესო კოდექსმა დაადგინა, რომ მოწმე დაიკითხება სასამართლოში. დაკითხვა სრულად გადავიდა სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ; პირველი განსხვავება წინა საპროცესო კანონთან შედარებით ასეთია - მოწმის დაკითხვა მოსამართლის წინაშე წარმოებს - სასამართლოში, არსებით სხდომაზე.³³ გამოძიების ეტაპზე, მანამ, სანამ საქმე სასამართლოში განსახილველად წარიმართება, ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, და როგორც ყველა გამონაკლისი ეს გამონაკლისიც იმ წესის სისწორეს ადასტურებს, რომ მოწმე მოსამართლის წინაშე სასამართლოში დაიკითხება. აღნიშნული შემთხვევა კოდექსში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: როდესაც შეუძლებელია მოწმე არსებით სხდომაზე გამოცხადდეს ჩვენების მისაცემად, მხარე უფლებამოსილია გამოძიების ეტაპზე ამ მოწმისგან მიიღოს ჩვენება (დეკონირებული ჩვენება). ეს ჩვენება სასამართლოში (არსებითი განხილვის

³¹ ამ ტერმინით იქნება მოხსენიებული ნაშრომში ბრალდების მხარის სსსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული უფლება, შეად. *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 18.

³² იხ. საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (10).

³³ იხ.: საქართველოს სსსკ, მუხლი 3 (24).

სხდომაზე) შესაძლებელია იქცეს დასაშვებ და უტყუარ მტიცებულებად და გამოყენებული იყოს სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას. გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის მიზანია უზრუნველყოს მართლმსაჯულების პროცესში იმ მოწმის ჩვენების მიღება, რომელიც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ვერ გამოცხადდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა 114-ე მუხლის პირველი ნაწილით ჩამოთვლის თუ რა შემთხვევაში ჩატარდება მოწმის დაკითხვა გამოძიების ეტაპზე. ეს შემთხვევებია:

- ა) არსებობს პირის სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე;*
- ბ) მოწმე დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;*
- გ) მტიცებულების სხვა წყაროდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს;*
- დ) გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვა აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.*

იქედან გამომდინარე, რომ გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვაში მხარეთა უფლებამოსილება, მოქმედი წესის მიხედვით, გარკვეულ შემთხვევაში გამომდინარეობს ჯერ კიდევ გამოკითხვის ეტაპზე მომხარე განვითარებიდან, ამიტომ მნიშვნელოვანია განვიხილოთ გამოკითხვისას მხარეთა უფლებამოსილება.

2.1.1. მხარეთა უფლებამოსილება გამოძიების ეტაპზე პირის გამოკითხვისას

გამოკითხვის პროცედურა დადგენილია საქართველოს სსსკ-ის 113-ე მუხლით. როგორც აღინიშნა, იგი ნებაყოფლობითია.

საქართველოს სსსკ-ის 113-114-ე მუხლები, როგორც სამართლის ჯერარსული ნორმები საპროცესო კოდექსით წინასწარგაწერილ შემთხვევებში იმოქმედებენ. შესაბამისად, როდესაც მხარისთვის ცნობილია, რომ პირი ფლობს განსახილველი საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, იგი წარუდგება გამოსაკითხ პირს, გააცნობს მის უფლებებს და სთხოვს გასცეს გარკვეული ინფორმაცია მომხდარის შესახებ. აქ ორი რამ არის მნიშვნელოვანი, (1) როდესაც მხარე პირს სთხოვს მისცეს ინფორმაცია ფაქტზე არის ნებაყოფლობითი და მთლიანად პირზეა დამოკიდებული ითანამშრომლებს თუ არა მხარეებთან (მხარე განუმარტავს ნებაყოფლობითობის შესახებ და მიწოდებულ ინფორმაციას ასახავს გამოკითხვის ოქმში) და (2) გამოკითხვის წესში თითოეული მხარის უფლებამოსილება.

2.1.1.1. გამოსაკითხი პირის მიერ ინფორმაციის მიწოდება - უფლება თუ ვალდებულება?

მსჯელობა მხარეთა თანასწორობის შესახებ გამოძიების პროცესში მოწმეთა დაკითხვაზე იმას უკავშირდება გამოსაკითხი პირის მიერ ინფორმაციის მიწოდება უფლებაა თუ ვალდებულება. ვფიქრობთ, იგი მაინც უფლებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი დასაბუთებით:

კოდექსის 114-ე მუხლით ჩამოთვლილ შემთხვევებში ბრალდების მხარეს მივყავართ მოწმის მაგისტრატის სასამართლოს წინაშე განვითარებამდე, ასევე დაცვის მხარის შემთხვევაში.³⁴ კოდექსი პირდაპირ ადგენს გამოკითხვის თავისუფლებას - ნებას პირისა მისცეს თუ არა ინფორმაცია მხარეს. აქ უფლებასა და მოვალეობას შორის დავა გამოწვეულია შემდეგი გარემოებების გამო:

1. მხარე განუმარტავს გამოსაკითხ პირს ვალდებულებას საკუთარი მონაცემების შესახებ მიაწოდოს სწორი ინფორმაცია.
2. საქმის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას პირს განემარტება სიმართლის თქმის ვალდებულება. იგი გაფრთხილდება ამ ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.
3. მხოლოდ ბრალდების მხარეს აქვს უფლებამოსილება დაიბაროს გამოსაკითხი პირი მაგისტრატის მოსამართლის წინაშე დასაკითხად.

უნდა ჩაითვალოს ეს სამი გარემოება პირის ნებაზე ზემოქმედებად?

ჩამოთვლილი გამოემოებები, შესაბამისი განვითარების პირობებში, კანონდებლის გათვლით ზემოქმედებენ პირის ნებაზე და ერთის მხრივ, პირველ და მეორე გრემოებაში ზღუდავს პირს სწორისა და არასწორის თქმასთან დაკავშირებით (მეორე შემთხვევაში გაფრთხილებით ცრუ ჩვენებასა და ცრუ დასმენაზე), ხოლო მეორე მხრივ, ბოლო შემთხვევაში, შეზღუდვა საჯარო ინტერესით (დანაშაულის გახსნის/მართლწესრიგის დაცვის მიზნით) არის გამოწვეული (მოწმეთა ინფორმაციის გარეშე გამოძიება პარალიზებული ან არაეფექტური იქნება).³⁵

³⁴ არ იგულისხმება სსსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილი, ე.წ. გამონაკლისის გამონაკლისი შემთხვევა.

³⁵ შეად. *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 19-20.

ვფიქრობთ, აღწერილი შემთხვევები გამოკითხვის ერთგვარი თანმდევი მოვლენებია, რომელიც კანონმდებლის მხრიდან შესაძლო რისკების განეიტრალებას ისახავს მიზნად, რათა მხარემ მიიღოს მართალი/სწორი ინფორმაცია გამოკითხვისას.

პირველ რიგში, პირის შესახებ მონაცემების სისწორე ემსახურება პირის იდენტიფიკაციას, რადგან თუ გამოსაკითხი პირი უარს იტყვის გამოკითხვაზე ან აღმოჩნდება მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე დაკითხვის საფუძველი უნდა გამოიძახონ და მოიძიონ ეს მოწმე შესაბამისმა ორგანოებმა. პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების გარეშე კი, პირის შემდგომი გამოძახება სასამართლოში შეუძლებელი იქნება. აღნიშნული გარემოება პრაქტიკული ხასიათისაა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს წინაშე მხარეთა შუამდგომლობაში დასაკითხი პირის იდენტიფიკაციას. უფრო მეტიც, გამოსაკითხი პირის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა მართლმსაჯულების განხორციელებას დაბრკოლებას უქმნის.³⁶ კერძოდ, მხარე ვერ შეძლებს, გამოძიების ეტაპზე მიუთითოს პირის მონაცემები შუამდგომლობაში ან/და არსებითი განხილვის დროს გამოიძახოს გამოკითხული პირი გამოკითხვის ოქმში მითითებული არასწორი ინფორმაციის გამო. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად საჭიროა „განისაზღვროს პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა დასახელებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.“³⁷

მეორეც, გამოკითხვის ნებაყოფლობითობის საკითხზე საუბრისას მხარის (ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე იგულისხმება) განმარტება გამოკითხვაზე უარის თქმისას მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე სავალდებულო დაკითხვაზე დაბარების შესახებ გამოკითხვის პროცესს არ აქცევს პირის თავისუფალი ნებისგან დაცლილად. სავალდებულოობის შესახებ განმარტება, მაგალითი რომ მოვიშველიოთ, ჰგავს ჩხრეკის შემთხვევას, როდესაც ჩხრეკის დაწყებამდე პირს სთხოვენ ნებაყოფლობით წარმოადგინოს მოსამძებნი საგანი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, გამოყენებული იქნება პროპორციული იძულების ღონისძიება. პირის ნებაზეა დამოკიდებული გამოკითხვისას ითანამშრომლებს თუ არა მხარესთან. ამდენად, ეს გარემოებები ახასიათებენ გამოკითხვის სამართლებრივ ბუნებას, მაგრამ ისინი მიმართულნი არიან მომდევნო (დაკითხვის) ეტაპისკენ, იმ მიზნით, რომ გამომძიებლებმა შესძლონ ინფორმაციის მიღება პირისგან, რათა წარმართონ გამოძიება სწორად და ეფექტურად;

დაბოლოს, აღნიშნული წესის არსი კარგად ჩანს ისეთი „მნიშვნელოვანი მოწმის“ შემთხვევაში, რომლისგანაც ინფორმაციის მიღება მხარისათვის გარდაუვალი

³⁶ შეად. აქუბარდია ი., გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, გვ. 10-11.

³⁷ იქვე, გვ. 11.

საჭიროებას წარმოადგენს და ამავედროულად, სახეზე არ არის 114-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი გარემოებები, რაც გახდებოდა ხსენებული დანაწესის საფუძველზე დაკითხვის წინაპირობა.

2.1.1.1.1. შუალედური დასკვნა გამოკითხვის ნებაყოფლობითობის თაობაზე

ამდენად, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ გამოკითხვა არის წმინდად პირის უფლება. იგი თავისუფალია იძულებისაგან - დაუშვებელია გამოკითხვის პროცესში პირის იძულება.³⁸ პირის გამოკითხვა მის უფლებად უნდა იყოს აღქმული მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. კანონის მცდარი განმარტება იქნებოდა გამოკითხვის სავალდებულოდ ჩათვალა, რადგან შინაარსობრივად გამოკითხვის პროცედურა მთლიანად ნებაყოფლობითია, ხოლო ზემოქმედებანი, ერთი მხრივ, სიმართლეს და მეორე მხრივ, დაკითხვის სავალდებულოობის განმარტება მთლიანად შემდგომ პროცედურად დასახულ დაკითხვის წესს მიემართება (თუ ცნობილი ფრაზის თავისუფალ პერიფრაზს მივმართავთ დაკითხვის სავალდებულოობა გამოკითხვის ნებაყოფლობითობის წინააღმდეგობა არაა, იგი უბრალოდ დამატებაა). დაკითხვის წესი არსობრივად ჩვენი განხილვის მომდევნო თემაა და გამოკითხვის, როგორც უფლებასთან თუ მოვალეობასთან, შესახებ მსჯელობასთან კავშირს კარგავს.

2.1.1.1.2. მხარეთა თანასწორობა და თანსაწორუფლებიანობის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.³⁹ ამ კონსტიტუციური პრინციპის არსი გამოიხატება მტკიცებულებების წარდგენის თანაბარ შესაძლებლობებში და მტკიცებულებების თანაბარ მდგომარეობაში გამოკვლევაში. მოწმეთა დაკითხვის სამართლიანობის შეფასებისას „თანაბარი“ არ უნდა იყოს სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით გაგებული. „სასამართლო აღნიშავს რომ გარანტიები, რომელსაც შეიცავს მესამე პუნქტი (ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტი) არის კონკრეტული ასპექტები პირველი პუნქტით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს (ევროპული

³⁸ საქართველოს სსსკ, მუხლი 113 (1).

³⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31-ე მუხლის მე-4 ნაწილი; ევროპული კონვენცია, მუხლი 6 (3) „დ“ პუნქტი.

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი) ზოგადი ცნებისა“.⁴⁰ მაგრამ, აღნიშნულ კონსტიტუციურ სტანდარტს, რომელსაც კანონმდებელი აწესებს, საფრთხე ექმნება (თვითონვე კანონმდებლის მხრიდან აღნიშნული ცვლილებების გამო).

2015 წლის 18 დეკემბერს საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით ბრალდების მხარეს დამატებით მიეცა შესაძლებლობა, გარდა ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულისა, პირი მოწმედ დაკითხოს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე იმ საფუძველით, რომ გამოსაკითხმა პირმა უარი განაცხადა გამოკითხვაზე. აღნიშნული ცვლილება 2016 წლის 20 თებერვლიდან ამოქმედდა მოწმის დაკითხვის ახალი წესის ძალაში შესვლასთან ერთად.

ჩვენი აზრით, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების მიზნებისთვის, მთავარი პრობლემა დაცვის მხარისთვის ანალოგიური უფლების არარსებობა კიარა, არამედ ისაა, რომ ჩატარებულ დაკითხვას დაცვის მხარე არ ესწრება.⁴¹ დაკითხვის უფლება ემსახურება მხარეთა თანასწორობას და წარმოადგენს კონტრადიქტორული პროცესის გამოხატულებას.⁴² მოცემულობა, რომ ბრალდების მხარეს დამატებით შეუძლია დაკითხოს მოწმე უპირატესი უფლებით, შესაძლოა არ იყოს მოწმეთა უფლებების მხრივ იმდენად შემზუდველი რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი დაირღვეს, მაგრამ სსსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილი გრძელვადიან პერიოდში, თავის თავში ატარებს საფრთხეს, რომ პირის მსჯავრდება მოხდეს დაცვის მხარის მიერ მონაწილეობის გარეშე, ზეპირ პროცესზე გამოუკვლეველი მტკიცებულებით.

2.1.1.2.1. ბრალდების მხარის უპირატესი უფლება: პრივილეგირებული მდგომარეობა თუ გარანტია მართლმსაჯულებისათვის?

განსახილველი პრობლემა წარმოიშვება მაშინ, როცა გამოძიების ეტაპზე დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე დაკითხული მოწმე არ ცხადდება არსებითი განხილვის

⁴⁰ უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ (Unterpertinger v. Austria), გან. N 9120/80 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1986 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარ. 29.; ასევე, შეად. ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom), განაცხადები N 26766/05, 22228/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების პარ. 118; ასევე, ჰორნკასტლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Horncastle and others v. the United Kingdom), გან. N 4184/10 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილების პარ. 131.

⁴¹ *აქუბარდია ი.*, გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, *ქ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“*, N3, 2018, გვ. 9.

⁴² *ტურავა მ.*, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა; ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 546.

პროცესზე და დაუსწრებელი მოწმის ჩვენება გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს პირის მსჯავრდების დასაბუთებისთვის. არ უნდა დაგვავიწყდეს ამ საფრთხის არსებობა, რადგან, ერთი მხრივ, ზოგადად, 114-ე მუხლის პირველი ნაწილი იმ შემთხვევებს ჩამოთვლის, სადაც მოწმე, სწორედ იმიტომ იკითხება, რომ არსებით სხდომაზე ვერ/არ გამოცხადდება; ანუ მხარეები წინასწარ არიან/უნდა იყვნენ მომზადებულნი, მაღალი ალბათობით, მოწმის არსებით სხდომაზე არ ყოფნისთვის; 114-ე მუხლის დებულებების საფუძველზე კანონი მათ აძლევთ საშუალებას მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩაატარონ მოწმის დაკითხვა და უზრუნველყოფილია მოწმის ჩვენების დეპონირება.

მეორე მხრივ, ბრალდების უპირატესი უფლებით სარგებლობის შემთხვევაში არსებითი განხილვის სხდომა დაცვის მხარისთვის ერთადერთი შესაძლებლობაა დაკითხვისას განახორციელოს მინიჭებული უფლებები და არჩეული დაცვის სტრატეგია. ამასთან, რა თქმა უნდა, არ უნდა არსებობდეს ილუზია, რომ ყოველი მოწმე საქმის არსებითის განხილვისას დაიკითხება და აქედან გამომდინარე, ყოველი გამოუცხადებელი მოწმისთვის პასუხსიმგებლობა სახელმწიფო უწყებებს დავაკისროთ; სასამართლო მიიღებს მხედველობაში იმას გასწია თუ არა შესაბამისმა ორგანომ სათანადო ძალისხმევა წარმოედგინა მოწმე.⁴³ მანამდე, სანამ იმაზე დაიწყება მსჯელობა, კონკრეტული მტკიცებულება იყო თუ არა ერთადერთი ან გადამწყვეტი პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული, არსებობს თუ არა მოწმის დაუსწრებლობის საფუძვლიანი მიზეზი.⁴⁴ მოწმის დაუსწრებლობის/დაუკითხველობის მიზეზები ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით მრავალგვარი შეიძლება იყოს, მათ შორის, მოწმის გარდაცვალება,⁴⁵ მოწმის უსაფრთხოების ინტერესები,⁴⁶ მისი ჯანმრთელობის დაცვა,⁴⁷ დუმილის უფლება,⁴⁸ მოწმის პრივილეგია არ მისცეს ჩვენება⁴⁹ და სხვა.

⁴³ ტაალი ესტონეთის წინააღმდეგ (Taal v. Estonia), გან. N 13249/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარ. 34; კარპენკო რუსეთის წინააღმდეგ (Karpenko v. Russia), გან. N 5605/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება, პარ. 62.

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 8 მაისის განაჩენი საქმეზე №633აპ-17, პუნქტი 16.

⁴⁵ იხ.: ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom), ციტირებული ზემოთ, პარ. 42; ასევე, მიკა შვედეთის წინააღმდეგ (Mika v. Sweden), გან. N 31243/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება დაუშვებლობის შესახებ, პარ. 27.

⁴⁶ იხ.: კოსტოვსკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kostovski v. the Netherlands), გან. N 11454/85, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1989 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარ. 19; ჰორნკასტლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Horncastle and Others v. The United Kingdom), ციტირებული ზემოთ, პარ. 36; ჰაქაშვილი გერმანიის წინააღმდეგ (Schatschaschwili v.

როდესაც ბრადლებულს/მის ადვოკატს არ ეძლევა საშუალება დასვას კითხვები ან დაუპირისპირდეს მოწმეს, იმ მოსამართლის წინაშე, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილებას იღებს ყოველი ასეთი უფლების განუხორციელებლობის შემთხვევა ყურადღებით უნდა იყოს შესწავლილი საქმეში; აქედან გამომდინარე, არსებული გარემოებების მხედველობაში მიღებით უნდა გადაწყდეს ამ მტკიცებულების შეფასება საბოლოოდ. სტრასბურგის სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეამოწმებს ეროვნული სასამართლოების დასაბუთებას, დაუსწრებელი მოწმის ჩვენების გამამტყუნებელ განაჩენში გამოყენებისას, კონკრეტული მტკიცებულება იყო თუ არა ერთადერთი ან გადამწყვეტი.⁵⁰

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბრალდებული განსაკუთრებით მოწყვლადია მოწმეთა დაკითხვის უფლების განუხორციელებლობის შემთხვევაში. უფლების განუხორციელებლობა უნდა დაბალანსდეს სასამართლოს მიერ, იმ დათქმით, რომ არსებობდეს ამ გარანტიის განუხორციელებლობის შემთხვევების შესაბამისი გამამართლებელი და მხარისთვის საკმარისად ურთიერთდამაბალანსებელი (sufficient counterbalancing) საშუალებები. დაბალანსების საშუალებები არ უნდა იყოს მექანიკური, არამედ თითოეულ საქმეში უნდა განიხილონ სასამართლოებმა ამგვარი შესაძლებლობა და საქმის გარემოებების მიხედვით შეფასდეს მოწმეთა დაუკითხველობის საკითხი მხარეთა თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისობის თაობაზე.⁵¹ კერძოდ, დაუსწრებელი მოწმის მტკიცებულება არ იყოს ერთადერთი საფუძველი პირის მსჯავრდების საქმეში, ანუ იგი მხარდაჭერილი უნდა იყოს საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით; მხოლოდ ხსენებულ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს მოწმის გამოქვეყნებულ წინასასამართლო ჩვენებას ლეგიტიმური მტკიცებითი ძალა და

Germany), გან. N 9154/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 26.

⁴⁷ აღნიშნული სიტუაცია იხ. ევროსასამართლოს განხილულ საქმეებში: P.S. გერმანიის წინააღმდეგ (P.S. v. Germany) გან. N 33900/96, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება; S. N. შვედეთის წინააღმდეგ (S. N. v. Sweden), გან. N 34209/96, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება.

⁴⁸ იხ.: კრაქსი იტალიის წინააღმდეგ (Craxi v. Italy), გან. N 34896/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება.

⁴⁹ იხ.: აში ავსტრიის წინააღმდეგ (Asch v. Austria), განაცხადი N 12398/86, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, პარ. 16; უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ (Unterpertinger v. Austria), ციტირებული ზემოთ, პარ. 19.

⁵⁰ ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom), ციტირებული ზემოთ, პარ. 147.

⁵¹ შეად. პერნა იტალიის წინააღმდეგ (Perna v. Italy), გან. N 48898/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება, პარ. 29.

გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიმღებმა მოსამართლემ განაჩენში. როგორც აღვნიშნეთ, მსგავსი ჩანაწერი გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის 243-ე პირველი ნაწილით.

ამასთანავე, საქართველოს სსსკ-ით დადგენილია დაცვის მხარის უფლებამოსილება მოითხოვოს წეს-ზე, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაცვის მხარის დასწრების გარეშე დაკითხული მოწმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა.⁵² მაგრამ ამისთვის საჭიროა დადგინდეს კანონის არსებითი დარღვევა, ხოლო აღნიშნული დარღვევის დადგენა დაცვის მხარეს, დაუსწრებლობის შემთხვევაში, მარტოოდენ დაკითხვის ოქმის საფუძველზე, მარტივად რომ ვთქვათ, გაუჭირდება.⁵³ ამ ვარაუდს ისიც ამყარებს, რომ 2017 წლის კვლევის მონაცემებით, დაცვის მხარის აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლოს მიერ არასდროს დაკმაყოფილებულა.⁵⁴ ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დაცვის მხარის უფლება „მოითხოვოს მოწმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, როგორც მისი უფლების დაცვის გარანტია, ნაკლებად ეფექტიანი და ზოგიერთ შემთხვევაში, ფორმალურია“.⁵⁵

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სსსკ-ის 115-ე მუხლით დადგენილი დაკითხვის ზოგადი წესის თანახმად, მოწმის მიერ მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირდაპირი წესით დაკითხვის შემდგომ არ ხდება მოწმის ჯვარედინი დაკითხვა, შესაბამისად, „ბრალდების მხარეს ექმნება პრივილეგია, მოწმეს საკუთარი ჩვენება ბრალდების მხარის სასარგებლოდ ჩამოაყალიბებინოს.“⁵⁶

ამასთანავე, მოწმის დაკითხვის უპირატესი უფლების რეალიზებისას გარდაუვლად არსებობს საფრთხე, რომ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაცვის მხარე, სამართალწარმოების ვერც ერთ ეტაპზე ვერ შეძლებს დაუსწრებელი მოწმე ჯვარედინი წესით დაკითხოს; „ანუ შესაძლებელია, კანონის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს, ასევე, იმ მოწმის ჩვენება, რომლის დაკითხვის შესაძლებლობა ბრალდებულსა და მის ადვოკატს არ მისცემიათ“.⁵⁷

⁵² საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (12).

⁵³ შეად. *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 28.

⁵⁴ ადამიანის უფლებათა ცენტრი, მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, გვ. 27.

⁵⁵ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 28.

⁵⁶ იხ. მოსაზრება: კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №1237) „საქართველოს მოქალაქე ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, გვ. 14.

⁵⁷ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 28.

ევროპული სასამართლოს ჩამოყალიბებული სტანდარტებით არ არის რთული შევავსოთ, ასეთ შემთხვევაში, თუ რა განმარტებას მოუძებნიდა ევროპული სასამართლო შექმნილ სიტუაციებს ან რას მიაქცევს ყურადღებას სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კუთხით.

მხარეთა თანასწორობის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის მხარეს არ აქვს ანალოგიური უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით მხარეთა თანასწორობის ჭრილში უნდა ითქვას შემდეგი: პირველი, დაცვის მხარე უფლებამოსილია ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის გამოკითხვა და დაკითხვა. დაცვის მხარის ეს უფლებამოსილება ემხაზურება საქმეზე საკუთარი პოზიციის გამამყარებელ მტკიცებულებათა მოპოვებას, რომელთა საფუძველზეც უნდა მოეფინოს ნათელი ფაქტებს და დადგინდება სიმართლე ამ და საქმის სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით. შესაბამისად, დაუსაბუთებელია დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება რატომ შეუშლის ხელს ბრალდების მხარეს გამოძიების ეფექტურად ჩატარებაში.⁵⁸ მით უმეტეს, როცა საქმე ეხება მოწმის ჩვენებას, ისეთ მტკიცებულებას, რომელიც ინფორმაციულად არსებობს და რომელიც ორივე მხარის მტკიცებულება შეიძლება იყოს. მხარეებს ექნებათ მოტივაცია და შესაძლებლობა სრულყოფილად გამოიკვლიონ საქმის შესახებ ფაქტები. ამასთანავე უნდა ითქვას რომ, ზემოაღნიშნული არგუმენტაციით⁵⁹, დაცვის მხარის მიერ მაგისტრატ მოსამართლესთან სავალდებულო დაკითხვაზე დაბარების განმარტების უფლება არ გამორიცხავს გამოკითხვის ნებაყოფლობითობას.⁶⁰

2.1.1.3. შუალედური დასკვნა

ამდენად, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ 2015 წლის 18 დეკემბრის ცვლილებით⁶¹ კანონმდებელმა ბრალდების მხარეს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე გამოსაკითი პირის დაკითხვის შუამდგომლობით მიმართვისას უპირატესობა მიანიჭა.⁶² საინტერესოა ისიც, რომ აღნიშნული შემთხვევა, რომელიც სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის წესიდან ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს

⁵⁸ იხ.: იქვე, გვ. 25.

⁵⁹ გამოკითხვისას ნებაყოფლობითობაზე მსჯელობა იხ., ზემოთ, ნაშრომის 2.1.1.1. ქვეთავში.

⁶⁰ შეად. აქუბარდია ი., გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N3, 2018, გვ. 8.

⁶¹ საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის კანონი №4677 - ვებგვერდი, 29.12.2015წ.

⁶² მეიშვილი ზ., მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 24.

ბრალდების მხარისთვის წესად იქცა, ხოლო წესი გამონაკლისად, რასაც მოწმობს აღნიშნული საფუძვლით მაგისტრატ მოსამართლესთან პროკურატურის მიერ შეტანილი შუამდგომლობების სტატისტიკა მოწმის დაკითხვის თაობაზე.⁶³ მაშინ, როდესაც შესაძლებელია პირი დაკითხოს მაგისტრატ მოსამართლესთან, თუ არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს,⁶⁴ ბრალდების მხარისათვის არსებობს შესაძლებლობა, რომ მოწმის დაკითხვა, ყოველგვარი დასაბუთებისა და მტკიცების სტანდარტის გარეშე, უპირატესი უფლების საფუძველზე ჩაატაროს. ამ დაკითხვას დაცვის მხარე არ დაესწრება, „რაც პროკურატურას „საქმეს უიოლებს“.⁶⁵ აღნიშნული მიდგომა კოდექსის სულისკვეთებას თავდაყირა აყენებს. ბრალდების მხარის მიზნების (მათ შორის, გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა, როგორც ეს მითითებულია განმარტებით ბარათში)⁶⁶ მიღწევა არ უნდა იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების საპირწონე. გამართლებული ვერ იქნება პირის დაკითხვა დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე, რადგან იგი ზღუდავს მხარეთა თანასწორობას, არ შეესაბამება შეჯიბრებით პროცესის პრინციპებს და არღვევს სასამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას.^{67,68}

2.2. კოდექსის მიღებად რეჟიმში მყოფი დებულებანი: პირის საგამომიებო ორგანოში მოწმის სახით დაკითხვის საგამონაკლისო წესი

საქართველოს სსსკ-ის 332-ე მუხლი აწესებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვა ჩატარდება 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსის მიხედვით. პირველ რიგში, პირის საგამომიებელთან მოწმის სახით დაკითხვის „ძველ წესსზე“ უნდა ითქვას, რომ გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვასთან მიმართებით 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსი ითვალისწინებდა მხოლოდ ბრალდების მხარის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას,⁶⁹ მათ შორის,

⁶³ სტატისტიკური მონაცემი იხ. კვლევაში: ადამიანის უფლებათა ცენტრი, მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, გვ. 22.

⁶⁴ საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (1) (გ).

⁶⁵ ადამიანის უფლებათა ცენტრი, მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, გვ. 24.

⁶⁶ იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, { <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/103905?> }.

⁶⁷ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), *ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, N2 (50), 2016, გვ. 28.

⁶⁸ *აქუბარდია ი.*, გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N3, 2018, გვ. 10.

⁶⁹ საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ, მუხლი 294.

საგამომიებო ორგანოში მოწმის სავალდებულო გამოცხადებასა⁷⁰ და მოწმის მიერ მიცემული ჩვენების სისწორის ვალდებულებას.⁷¹ მიუხედავად ამ პირობებისა, კოდექსი აღიარებდა შეჯიბრებითობის პრინციპს, თუმცა ფაქტია, რომ ინკვიზიციური სისტემის პირობებში, მხარეთა შეჯიბრებითობის აღიარება ფორმალურად რჩებოდა.⁷² გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ მოწმე სასამართლო პროცესზე სხვა ჩვენებას მისცემდა, ამისათვის მას ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობა ელოდა. სწორედ ამ შეუსაბამო და უუფლებო მდგომარეობიდან გამოსასვლელად შემუშავდა 2004-2005 წლებში შექმნილი სარეფორმო კომისიის მიერ საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართლის სფეროში, რომელმაც 2009 წლის 9 ოქტომბრის საპროცესო კოდექსით უარი თქვა გამომიებელთან მოწმის სავალდებულო დაკითხვაზე და პირის მიერ საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობა ნებაყოფლობითი გახდა. თუმცა, ეს წესი სხვადასხვა დროს განსაზღვრულ დათქმებით კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით შეიზღუდა; საბოლოოდ კი, 2016 წლის 20 თებერვლიდან ამოქმედდა, მაგრამ, ტერორიზმის დანაშაულების შემთხვევაში კოდექსი ითვალისწინებს 332-ე მუხლის მოქმედი რედაქციით წესს, რომელიც განსხვავებულად აწესრიგებს მოწმეთა დაკითხვას გამომიების ეტაპზე.

2019 წლის 30 ივნისამდე იმოქმედებდა წესი, რომლის მიხედვით ტერორიზმის დანაშაულების გამომიებისას მოწმეთა დაკითხვა ჩატარდება ძველი კოდექსის მიხედვით, ანუ სსკ-ის 323-ე-323² და 325-ე-329-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამომიებისას არ მოქმედებდა კოდექსით დადგენილი გამოკითხვა/დაკითხვის წესი. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ საქმეთა გარშემო მოწმეები ვალდებულნი იქნებიან გამოცხადდნენ საგამომიებო ორგანოში და ბრალდების მხარეს მისცენ ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ გარდამავალ დებულების არსებობა შსს წარმომადგენლის მიერ გამართლებულია საჯარო ინტერესით - ტერორიზმის დანაშაულების გამომიებისას მასშტაბურად არსებობს ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების განუზომელი საჯარო ინტერესი,⁷³ - რადგან მსგავსი

⁷⁰ საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ, მუხლი 94 (1).

⁷¹ იქვე.

⁷² *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამომიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 16.

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II-33.

დანაშაულების შესახებ ინფორმაცია რთულად მოსაპოვებელია, სათანადო ბერკეტების გარეშე კი, გამოძიება კოლაფსის პირას აღმოჩნდება.⁷⁴

ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტთან (ამჟამად, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი) მიმართებით გასაჩივრდა წესი, 2009 წლის 9 ოქტომბრის საპროცესო კოდექსში, რომელიც მოქმედებდა აცხადებს 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსის დებულებებს. გამოძიების ეტაპზე დაკითხვის ე.წ. ძველი წესის მიხედვით მხოლოდ ბრალდების მხარეს ჰქონდა უფლებას დაეკითხა გამოძიების ეტაპზე მოწმე. მოქმედი წესით კი, მაგისტრატი მოსმართლის წინაშე მოწმის დაკითხვის უფლება დაცვის მხარესაც მიეცა, მაგრამ გარდამავალი დებულების მოქმედების პირობებში ე.წ. ძველი წესი ცოცხლდება, ანუ სსსკ-ის 332-ე მუხლი არის ერთგვარი სარკმელი, რომელიც მოწმის დაკითხვის 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსით დადგენილ პროცედურას აწმყოში აბრუნებს.

2.2.1. უფლებათა დაცვის მექანიზმები და გამოწვევები

სწორედ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა აღნიშნული გარდამავალი დებულება 2009 წლის 9 ოქტომბრის კოდექსში, რომელიც მოქმედებდა აცხადებს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი დაკითხვის წესებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა, სსსკ-ის 332-ე მუხლზე, შეეხება, ზოგადად, დაკითხვის ისეთ პირობებს, სადაც დაცვის მხარე არ მონაწილეობს ან მისი მონაწილეობა შეზღუდულია. მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის საკითხში, საწინააღმდეგოდ კანონმდებლის 332-ე მუხლში ჩამოყალიბებული ხედვისა, სასამართლოს აზრით „მძიმე დანაშაულში ბრალდება მხოლოდ და მხოლოდ დაცვის სათანადოდ განხორციელების აღმატებულ ინტერესზე შეიძლება მიუთითებდეს და არა პირიქით“, ⁷⁵ რა დროსაც გამართლებული იქნებოდა გამოძიების ეტაპზე მოწმეების დაკითხვის ან დაკითხვაში მონაწილეობის შესაძლებლობის ჩამორთმევა დაცვის მხარისთვის, მით უფრო, იმ შემთხვევაში, თუ ეს მოწმეები, გამოძიების ეტაპის დასრულების შემდეგ, საქმის არსებითი განხილვისას უშუალოდ

⁷⁴ იხ.: განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, [<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/103905?>]; მსგავსი მოსაზრება გატარებულია სტატიაში: *შენგელა ს.*, მოწმის გამოკითხვა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2014, გვ. 161.

⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. II-22.

და ზეპირად არ მისცემენ ჩვენებას.⁷⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ბრალდებულის უფლება, „ერთხელ მაინც მიეცეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის და მათთან დაპირისპირების შესაძლებლობა“ მოცულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საპროცესოსამართლებრივი გარანტიით.⁷⁷

ამასთანავე გასათვალისწინებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს გამოძების ეტაპზე დაცვის მხარის მიერ მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით მსჯელობა. ე.წ. „ძველი წესით“ გამოძების ეტაპზე ჩატარებული წინასწარი დაკითხვა ბრალდების მხარეს აძლევს საშუალებას, უკეთ დაგეგმოს ბრალდების სტრატეგია, რაც მას მნიშვნელოვან საპროცესო უპირატესობას ანიჭებს დაცვის მხარესთან შედარებით, რასაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „ვერ დააბალანსებს [დაცვის მხარისთვის] მოწმის არსებითი განხილვის დროს დაკითხვის შესაძლებლობა ან/და არსებითი განხილვის ეტაპზე არსებული სხვა მექანიზმი“.⁷⁸ ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის პრინციპებთან შეუსაბამოა ე.წ. ძველი კოდექსის წესები, რომელიც დაცვის მხარეს ბრალდებასთან შედარებით არათანაბარ და უმოქმედო მდგომარეობაში აყენებს. შესაბამისად, სასამართლო აღნიშნავს რომ „სადავო ნორმით ხდება ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით [ახალი რედაქციით 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი] დაცულ სფეროში და ბრალდებული იმყოფება არათანასწორ სამართლებრივ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით“.⁷⁹

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ მსჯელობას გავაგრძელებთ სსსკ-ის 113-114-ე მუხლების კონსტიტუციურ უფლებებთან (მათ შორის, მოწმეთა დაკითხვის კონსტიტუციურ უფლებასთან) და ამ უფლებებიდან გამომდინარე საპროცესოსამართლებრივ პრინციპებთან შესაბამისობის ანალიზის ჭრილში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როდესაც, ერთი მხრივ, მხოლოდ ბრალდების მხარეს გააჩნია მოწმის სავალდებულოდ დაკითხვის უფლებამოსილება, დაცვის მხარეს კი არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს იმ მოწმის ჩვენება გამოძების ეტაპზე, რომელიც უარს

⁷⁶ შეად. ტრეესელი შ. (ს. ჯ. სამერსის დახმარებით), ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 323.

⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II პარ. 88.

⁷⁸ იქვე, პარ. II-101.

⁷⁹ იქვე, პარ. II-102.

განაცხადებს მასთან ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე და მეორე მხრივ, დამცველს/ბრალდებულს არ ექნება შესაძლებლობა სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე დაუსვას დაუსვას მას შეკითხვები ჯვარედინი დაკითვის წესით, გარანტირებული კონსტიტუციური უფლების განუხორციელებლობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის დაცვაზე და პროცესის ერთიანობაში სამართლიანად (“overall fairness“) მიჩნევაზე.

2.3. მოწმეთა უფლებრივი რეჟიმი დაკითხვის პროცესში

2.3.1. მაგისტრატი მოსამართლის როლი მოწმეთა დაკითხვის პროცესში

მაგისტრატი მოსამართლის როლი გამოძების პროცესში ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვაა. მისი კომპეტენცია გამოძების ეტაპზე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფაა. მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილება, შეიძლება ითქვას, გამოძების სტადიასთან უფრო მეტადაა დაკავშირებული, ვიდრე სასამართლო განხილვასთან. რეალურად მაგისტრატი მოსამართლე ამზადებს სისხლის სამართლის საქმეს წინასასამართლო სხდომისთვის.⁸⁰

ზოგადი (სსსკ-ის მე-20 (2)) და სპეციალური ნორმებიდან (სსსკ-ის 114-ე (1), (3) და სხვ.) გამომდინარეობს ის, რომ კანონით გათვალისწინებულ პირობებში პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხება და რასაც დეპონირებულ ჩვენებას ვუწოდებთ. მხარეები მოწმის დაკითხვის თაობაზე შუალდგომლობით მიმართავენ მაგისტრატ მოსამართლეს მოწმის ადგილსამყოფელის ან გამოძების ადგილის მიხედვით.⁸¹ შუამდგომლობაში აღინიშნება მოწმედ დასაკითხი პირის იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემები და საფუძველი, რომელიც 114-ე მუხლის პირველი ნაწილითაა გათვალისწინებული. მხოლოდ ბრალდების მხარის შემთხვევაში (იგულისხმება პროკურორი, ან გამომძიებელი პროკურორის დავალებით⁸²) შესაძლებელია მაგისტრატი მოსამართლის წინაშე შეტანილი იყოს შუამდგომლობა პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე, რომელშიც საფუძველად პირის მიერ გამოკითხვაზე უარი და სისხლის სამართლის საქმეზე შესაძლო ინფორმაციის

⁸⁰ აქუბარდია ი., წიგნში: საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბილისი, 2015, გვ. 35-36.

⁸¹ საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (1).

⁸² საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (4).

ფლობა მიუთითება.⁸³ ბრალდების მხარის აღნიშნულ უფლებაზე და ამ სახის შუამდგომლობის დასაბუთებაზე ნაშრომის შემდეგ ნაწილებში ვისაუბრებთ.

მაგისტრატი მოსამართლე შუალდგომლობას ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს⁸⁴. მოწმის დაკითხვის 24 საათიანი ვადა აითვლება მას შემდეგ, რაც მაგისტრატი მოსამართლე დააკმაყოფილებს მხარის შუამდგომლობას. კანონი ითვალისწინებს 24 საათიანი ვადის გახანგრძლივებას მოწმის საპატიო მიზეზით სასამართლოში ვერგამოცხადებისას.⁸⁵ კოდექსი განმარტავს თუ რა ითვლება საპატიო მიზეზად,⁸⁶ ეს მითითება მნიშვნელოვანია, რადგან მოწმის მიერ არასაპატიო მიზეზით დაკითხვაზე გამოუცხადებლობა შესაბამის ქმედებასა⁸⁷ და პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

მოწმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისა და დაკმაყოფილების ვადასთან დაკავშირებით უნდა ითქვას რომ, მართალია, 24 საათიანი ვადა ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს - სწრაფად და სრულყოფილად იყოს შეკრებილი ინფორმაცია საქმეზე, თუმცა ლიტერატურაში სამართლიანი შენიშვნაა გამოთქმული მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვის ვადის გონივრულობასთან დაკავშირებით. არ უნდა ვუგულებელვყოთ, რომ კოდექსით განსაზღვრულ 24 საათიან ვადაზე მრავალი ფაქტორი მოახდენს გავლენას, მათ შორის, ეს შეიძლება იყოს: სასამართლოს გადატვირთულობა, ან თუნდაც მოსამართლეთა ყოველდღიური დღის წესრიგი; დაკითხვის ინიციატორი მხარის გადაუდებელი სამსახურეობრივი აუცილებლობა; სასამართლოში შუალდგომლობის შესვლის დრო, მაგ., შუამდგომლობის დღის მეორე ნახევარში შეტანა, რაც პროცედურული საკითხების მოგვარების შემდეგ აღარ ტოვებს დროს ღამის (22:00 საათი) დადგომისას იმავე დღეს ჩატარდეს დაკითხვა; მოწმეთა ადგილსამყოფელი; ტექნიკური საშუალებებით სასამართლო უწყების ადრესატისთვის ჩაბარება; მოწმის მიერ ადვოკატის აყვანისათვის დრო; არასრულწლოვან მოწმეთა საჭიროებანი.⁸⁸ ამდენად, საჭიროა გონივრული ვადის დადგენისას კანონმდებლმა გაითვალისწინოს ეს და სხვა გარემოებანი.

მოწმის სასამართლოში დაკითხვისას მაგისტრატი მოსამართლე „უზრუნველყოფს მოწმისათვის მისი უფლებების განმარტებას და დაკითხვის პროცესის კანონის

⁸³ საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (2).

⁸⁴ საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (6).

⁸⁵ იქვე.

⁸⁶ იხ.: საქართველოს სსსკ, მუხლი 3 (18).

⁸⁷ იგულისხმება მოწმის სავალდებულო მიყვანა, სსსკ-ის 149-ე მუხლი.

⁸⁸ *მითიაშვილი მ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ქ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, გვ. 95-96.

შესაბამისად წარმართვას.⁸⁹ დაკითხვის დაწყებამდე დგინდება მოწმის ვინაობა და მოწმედ დასაკითხ პირს განემარტება უფლებები და ვალდებულებები;⁹⁰ კერძოდ:

ვალდებულებანი:

- ფიცის დადებით დაადასტუროს, რომ იტყვის სიმართლეს;
- თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმის შესახებ;
- მოწმედ დასაკითხი პირი მაგისტრატი მოსამართლის მიერ გაფრთხილდება ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის (სსკ-ის 371-ე მუხლი) და ცრუ ჩვენების მიცემისათვის (სსკ-ის 370-ე მუხლი) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ (აღნიშნული არ ეხება ბრალდებულს⁹¹).⁹² ლოგიკურია, რომ აქ იგულისხმება ცრუ დასმენისათვის (სსკ-ის 373-ე მუხლი) პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილება.⁹³

და უფლებები:

- იცოდეს რა საქმეზეა გამოძახებული;
- არ გასცეს მამხილებელი ინფორმაცია საკუთარი თავის (თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია) ან ახლო ნათესავის შესახებ;
- შესაბამისი მდგომარეობის/სტატუსის არსებობისას არ არის ვალდებული გასცეს ინფორმაცია.⁹⁴

აღნიშნული უფლებები, როგორც სასამართლო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ისე ნებისმიერი სახის გამოკითხვის/დაკითხვის დროს, მათ შორის, ჩვენს მიერ

⁸⁹ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 27.

⁹⁰ საქართველოს სსსკ, მუხლი 115 (1).

⁹¹ *თუმანიშვილი გ.*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბილისი, 2014, გვ. 152; იხ. ამავე თემაზე, *მსხილაძე ლ.*, ბრალდებულის უფლება - მისცეს ჩვენება, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N4 (52), 2016, გვ. 9.

⁹² საქართველოს სსსკ, მუხლი 115 (1).

⁹³ „[...] ცრუ დასმენა არის იგივე ცრუ ჩვენება, რომელიც შეიცავს ყალბ (ცრუ) მითითებას კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ.“, შემდგომ მსჯელობა გრძელდება, „[...] ამდენად, როდესაც სახეზეა არასწორი ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ფაქტის შესახებ და ჩვენება არ შეიცავს ცრუ მონაცემებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, მაშინ სახეზე გვაქვს ცრუ ჩვენების მიცემა, ხოლო როდესაც ჩვენება შეიცავს ცრუ მონაცემებს კონკრეტული პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუნდაც იგი ამავდროულად, შეიცავდეს ცრუ მონაცემებს თვით ფაქტის შესახებაც, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ცრუ დასმენად.“; დეტალურად იხ.: *ჯორბენაძე ო.*, რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენისა და მოწმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის თაობაზე, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N1 (44), 2015, გვ. 7-8.

⁹⁴ იხ.: საქართველოს სსსკ, 50-ე მუხლის პირველი ნაწილი.

განსახილველი, ბრალდების მხარის ექსკლუზიური უფლებით ინიცირებულ დაკითხვაზე, ვრცელდება.

გამძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვა ტარდება კოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით,⁹⁵ შესაბამისად, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის წესებით. ანუ თუ მიზნობრივად განვმარტავთ, ცხადია რომ კანონმდებელი გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვას შესაბამისი წინაპირობების არსებობისას წარმოგვიდგენს, ისე როგორც უნდა ყოფილიყო არსებითი განხილვის პროცესი, სადაც ორივე მხარე წარმოდგენილია და იკითხება მოწმე მხარეების მიერ, ხოლო ამ ყველაფერს ისმენს, აფასებს და განსჯის სხდომის თავმჯდომარე. მაგისტრატი მოსამართლის ფუნქცია, ამ შემთხვევაში, იდენტურია არსებითი განხილვის სხდომის თავმჯდომარისა (შეფასებისა და განსჯის ეტაპი საქმის არსებითი განხილვის დროს). ამასთანავე, განსხვავებულია ის, რომ მაგისტრატ მოსამართლეს არ მოუწევს შეაფასოს მტკიცებულება ცალკე ან/და საქმის სხვა მასალებთან ერთად. კანონმდებელი მაგისტრატ მოსამართლეს წარმოადგენს როგორც უზრუნველყოფას რომ ეს მტკიცებულება მოპოვებულია ადამიანის უფლებებისა და საპროცესო კანონის სრული დაცვით.⁹⁶ სწორედ მან უნდა უზრუნველყოს სულ მცირე ის, რომ არ შეილახოს მოწმეთა უფლებები და დაცული იყოს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები. სულ მცირე, თორემ კოდექსი დამატებით ითვალისწინებს დაცვის მხარის მონაწილეობას, მათ შორის, მოწმის ადვოკატის მონაწილეობას, რომელიც კონკრეტული მოწმის უფლებებს დაიცავს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვისას. ეს ძირითადი წესია.

დეკონირებული ჩვენების კონტექსტში მაგისტრატი მოსამართლის როლის მხოლოდ ამ საკითხით შემოსაზღვრა ხარვეზიანი იქნებოდა; ამ წესის მიღმა უამრავი შემთხვევა შეგვიძლია დავინახოთ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დღეს მოქმედი რეგულაციით, მაგისტრატი მოსამართლე, ფაქტობრივად, განიხილება როგორც სასამართლო სისტემის უდაბლესი დონის მოსამართლედ⁹⁷ და მისი უფლებები სასამართლოში დაკითხვისას სრულყოფასა და დაზუსტებას საჭიროებს.⁹⁸ საპროცესო

⁹⁵ საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (12).

⁹⁶ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 27.

⁹⁷ *აქუბარდია ი.*, წიგნში: საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბილისი, 2015, გვ. 35.

⁹⁸ იხ.: *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 26; *აქუბარდია ი.*, გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, N3, 2018, გვ. 11.

პრინციპების დაცვის მხრივ, ბუნდოვანება და ორაზროვნება მით უფრო იზრდება, როცა დაკითხვაზე მხოლოდ ერთი მხარეა წარმოდგენილი; ეს შეიძლება იყოს სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილით (მხოლოდ ბრალდების მხარე) ან 114-ე მე-9 ნაწილის საფუძველზე (მეორე მხარის დასწრების გარეშე) ჩატარებული დაკითხვა. ამდენად, საინტერესოა შევაფასოთ ამ რისკების მნიშვნელობა და გადაჭრის გზები.

2.3.1.1. მაგისტრატი მოსამართლის როლი გამოძიების ეტაპზე მეორე მხარის დასწრების გარეშე ჩატარებულ მოწმის დაკითხვაზე

გამოძიების ეტაპზე მოწმის მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე დაკითხვისას მაგისტრატი მოსამართლის როლზე მსჯელობა ერთი საინტერესო მაგალითით უნდა დავიწყოთ. ლიტერატურაში განხილულია შემთხვევა, როდესაც დაკითხვა მიმდინარეობს მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე⁹⁹ და მხარე განსარიდებელ კითხვას დასვამს.¹⁰⁰ არსებობს სიტუაციის განვითარების ორი ალტერნატივა:

პირველი, თუ მოსამართლე საკუთარი ინიციატივით განარიდებს კითხვას ბრალდების მხარე ამაზე პროტესტს გამოთქვამს იმ საფუძველით რომ მოსამართლის მხრიდან ასეთ ინიციატივას კოდექსი არ ითვალისწინებს;¹⁰¹

ან მეორე, თუ მოსამართლე არ ჩაერთვება პროცესში ამით მოწმის უფლებები შეილახება და დაცვის მხარის უფლებები დაზარალდება, რამაც შესაძლოა წინასასამართლო სხდომაზე მოწმის ჩვენების დაუშვებლად ცნობა გამოიწვიოს.¹⁰² ამდენად, კოდექსის ამ რეგულაციის პირობებში, მაგისტრატი მოსამართლის ნებისმიერი ქმედება კანონთან შეუსაბამო იქნება.

მსჯელობა მაგისტრატი მოსამართლის როლის შესახებ არის მსჯელობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვაზე.¹⁰³ იქედან გამომდინარე, რომ მაგისტრატ მოსამართლესთან პირის დაკითხვა იძლევა გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ პირი არსებით სხდომაზე არ იქნება და გადაწყვეტილების მიღება არსებითი სხდომის მოსამართლეს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხული პირის ჩვენების

⁹⁹ საქართველოს სსსკ, 114-ე (9) მუხლით (მათ შორის, მეორე მხარის გამოუცხადებლობა) ან 114-ე (2) მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები.

¹⁰⁰ იხ.: *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 26.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ შეად. მოსამართლის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში (ანგარიში), EMC, თბილისი, 2019, გვ. 13-16.

საფუძველზე მოუწევს (დეპონირებული ჩვენებს არსი), ამრიგად, დიდი მნიშვნელობა აქვს მაგისტრატის მოსამართლის უფლებამოსილების დაზუსტებას იმის გათვალისწინებით თუ კანონის რომელ შემთხვევასთან გვექნება საქმე - ორივე მხარის თუ მხოლოდ ერთი მხარის მონაწილეობით მოწმის დაკითხვასთან.

მაგისტრატის მოსამართლე თვითონვე უნდა იყოს გარანტი იმ მოწმის უფლებების დაცვისა, რომელიც არაა დამცველით წარმოდგენილი, რადგან დაკითხვა, ისევე როგორც ზოგადად მართლმსაჯულების სივრცე, მოქალაქეში, არასაკმარისი სამართლებრივი გაცნობიერების გამო, დაბნეულობას იწვევს. აღნიშნულ პრობლემას სრულყოფილად ვერც მოწმის მიერ ადვოკატის აყვანა გადაჭრის,¹⁰⁴ „რადგან მოწმის ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში ფუნქციურად მეორე მხარეს ვერ გაუთანაბრდება და ასევე, გაურკვეველია მისი უფლებები და მოვალეობები.“¹⁰⁵

სისხლის სამართალი ქმედების სამართალია და შესაბამისად სისხლის სამართლის პროცესიც ცოცხალი პროცესია; კანონს გაუჭირდება კოდექსით მთლიანად მოიცვას სამართლის ყველა პრაქტიკული ასპექტი, მაგრამ მთავარია დაზღვეული იყოს ის შესაძლო რისკები, რაც ამ პროცესში წარმოიშობა. ამის საშუალება მაგისტრატის მოსამართლისთვის გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის პროცესში ძირითადი უფლებამოსილებების ნათლად გაწერაა,^{106,107} და არა თითოეული ადამიანის კერძო პირის სამართლიანობის იმედად დატოვება, რაც კანონმდებლის მხრიდან სასამართლოში პირველად მოხვედრილი (ან თუნდაც გამოცდილი) ადამიანის ბედის ანაბარად დატოვების ტოლფასია.

2.3.1.2. შუამდგომლობათა დასაბუთებულობის საკითხი

ბრალდების მხარეს უპირატესი უფლებით სარგებლობისთვის დადგენილი სტანდარტი არ არის საკმარისად მაღალი, რათა გამართლდეს მხარეთა თანასწორობაში და შეჯიბრებითობაში ჩარევა. სსსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილი მოითხოვს მხოლოდ ფაქტის არსებობის დადასტურებას, რომ პირმა უარი განაცხადა

¹⁰⁴ საქართველოს სსსკ, მუხლი 114-ე (11).

¹⁰⁵ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 26.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ მოსამართლის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში (ანგარიში), EMC, თბილისი, 2019, გვ. 15.

გამოკითხვაზე, ხოლო მეორე პირობის დასაბუთება - დგინდებოდეს ამ პირის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის შესაძლო ფლობა - ბურუსითაა მოცული.

ზოგადად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის გათვალისწინებული დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, კოდექსისეული განმარტებით, მოიცავს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას,¹⁰⁸ რომელიც ადასტურებს კონსტიტუციური თავისუფლების შემზღვეველ მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობას.¹⁰⁹ დადგენილი წესისგან განსხვავებით, 114-ე მუხლის მეორე ნაწილის შემთხვევაში ვიღებთ მდგომარეობას როდესაც ამ დებულებით გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტი გამოძიების ეტაპზე საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდების მტკიცების სტანდარტზე ნაკლებია და მხოლოდ ერთი გარემოებით/ფაქტით შემოიფარგლება; „აღნიშნულ მუხლს აქვს ძალიან დაბალი მტკიცებულებითი სტანდარტი, რომელიც სახეზეა მაშინაც თუ არსებობს ერთი კონკრეტული ფაქტი ან ინფორმაცია და არა ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა.“¹¹⁰ მეორე საკითხია სასამართლოების მიერ ამ სახის შუამდგომლობათა დასაბუთებულობა, - თუ რატომ იკითხება ან არ დაიკითხება ესა თუ ის მოწმე, რა ინფორმაცია ან/და ფაქტი ადასტურებს პირის მიერ საჭირო ინფორმაციის ფლობას; მოხმობილი კვლევიდან ჩანს, რომ განხილვის დროისთვის შეფასებული სასამართლოს გადაწყვეტილებები ამგვარ დასაბუთებას არ შეიცავენ.¹¹¹

ამასთანავე, აღნიშნულ დაკითხვას დაცვის მხარე არ დაესწრება¹¹². ამდენად, იქედან გამომდინარე, რომ არაა გაწერილი დასაბუთების სტანდარტი, რაც მოწმის სავალდებულო წესით დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობამ უნდა დააკმაყოფილოს და იქედან გამომდინარე, რომ ნათლად არაა გაწერილი მაგისტრეტი მომსამართლის უფლებამოსილებანი პირის მოწმის სახით დაკითხვის პროცესში (და ხშირად მოწმის სახით დასაკითხი პირი ადვოკატის გარეშე), რთულია ვისაუბროთ კანონის მოთხოვნების იმ სტანდარტით დაცვაზე, რა სტანდარტითაც დაცულად მიიჩნევა კანონმდებელი საპროცესო პრინციპებს, როცა დაკითხვა ორივე მხარის მონაწილეობით ტარდება. უფრო მეტიც, შესაძლებელია დაცვის მხარეს სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ მიეცეს შესაძლებლობა დაუსვას კითხვები ბრალდების მოწმეს და დაცვის მიერ გამოუკვლეველი მტკიცებულება განაჩინს

¹⁰⁸ საქართველოს სსსკ, მუხლი 3 (11).

¹⁰⁹ *თუმანიშვილი გ.*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბილისი, 2014, გვ. 236.

¹¹⁰ ადამიანის უფლებათა ცენტრი, მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, გვ. 23.

¹¹¹ დეტალურად იხ.: იქვე, გვ. 27.

¹¹² საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (10).

დაედოს საფუძვლად.¹¹³ კანონმდებლობა უშვებს ამგვარი მტკიცებულების, ყველა წესის დაცვით, მოხვედრას საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, რაც *prima facie* შეუთავსებელი იქნება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან, თუ „დაცვის მხარის უფლებების პატივისცემა ხდება“.¹¹⁴

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს მაგალითები ემპირიულად ადასტურებენ იმ ხარვეზის არსებობას, რასაც სამართლიანი სასამართლოს განხორციელება შეიძლება გადააწყდეს მოწმის დაკითხვის გზაზე, კონკრეტულად კი, ბრალდების მხარის უპირატესი უფლების სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემის გადაჭირს გზად გვესახება შემდეგი: საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გამოძიების ეტაპზე გაიწეროს დასაბუთების კონკრეტული სტანდარტები, როგორც პროკურორთათვის, ასევე მოსამართლეთათვის. ამასთანავე, კანონმდებლობით მოწესრიგდეს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილება გამოძიების ეტაპზე მოწმის სასამართლოში დაკითხვისას.¹¹⁵

2.4. დაკითხვის ოქმი, როგორც მტკიცებულება

საინტერესო მსჯელობაა წარმოჩნილი ლიტერატურაში გამოკითხვის და დაკითხვის ოქმებზე, როცა მათ მტკიცებულებად გამოყენებას ეხება საქმე. სამართლიანი პროცესის გაგებისთვის მნიშვნელოვანია დეპონირებული ჩვენების მტკიცებულებითი მოცულობა, რადგან საქმის საბოლოო შედეგი, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, აქედან გამომდინარეობს. კოდექსის დებულებების ანალიზისას არსებობს სიტუაციის განვითარება, როცა კოდექსის დებულებათა დაცვით მიღებულმა დაკითხვის ოქმმა (ისევე, როგორც გამოკითხვის ოქმის შემთხვევაში) შეიძლება

¹¹³ მსგავსი შემთხვევები აღწერილია ევროსასამართლოს საქმეებში, მათ შორის, საქმეში: უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Unterpertinger v. Austria*), ციტირებული ზემოთ, პარ. 33; ასევე, მირილაშვილი რუსეთის წინააღმდეგ (*Mirilashvili v. Russia*), გან. N 6293/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, პარ. 103; ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Kartvelishvili v. Georgia*), გან. N 17716/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 20.

¹¹⁴ ამ საკითხზე იხ. ევროსასამართლოს შეფასება: კოსტოვსკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Kostovski v. the Netherlands*), ციტირებული ზემოთ, პარ. 41; ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ (*Schatschaschwili v. Germany*), ციტირებული ზემოთ, პარ. 105.

¹¹⁵ რეკომენდაციების შესახებ იხილეთ ქვემოთ, 2.6. ქვეთავი.

არათანაბარ (უარეს) მდგომარეობაში ჩააყენოს დაცვის მხარე,¹¹⁶ შეზღუდოს დაცვის უფლება და აქედან გამომდინარე, პროცესის შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობაზე დამაზიანებელი ეფექტი იქონიოს.

დასაწყისისთვის აღვნიშნავთ, რომ პირის დაკითხვა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვის სხდომაზე.¹¹⁷ გამოძიების ეტაპზე მაგისტრტი მოსამართლის წინაშე დაკითხული მოწმის დაკითხვის ოქმი, შესაბამის პირობებში (როდესაც წინასამართლო ეტაპზე დაკითხული პირი, საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე არ არის გამოცხადებული და მოწმის დაკითხვის ოქმი წსს-ზე დასაშვებ მტკიცებულებად იყო ცნობილი), იგივე მოწმის ჩვენებაა¹¹⁸ -, მტკიცებულება რომელსაც მოსამართლე, გაზიარების შემთხვევაში, განაჩენის მიღების დროს (სხვა მტკიცებულებებთან ერთად) დაეყრდნობა. ამდენად, განვიხილოთ დაკითხვის ოქმის მტკიცებულებად ამგვარი გამოყენების შესაძლებლობა. სსსკ-ის 243-ე მუხლით გათვალისწინებულია გამოძიების დროს გამოკითხვის ოქმის ან მაგისტრტი მოსამართლის წინაშე დაკითხული მოწმის ჩვენების სასამართლო პროცესზე გამოქვეყნება. ამ დებულების პრობლემატური მხარის გაანალიზებისთვის სიტუაციის განვითარება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

პირმა ბრალდების მხარეს გამოკითხვაზე უარი განუცხადა; ბრალდების მხარემ უპირატესი უფლებით ისარგებლა და მაგისტრტი მოსამართლის წინაშე დაკითხა პირი;¹¹⁹ მხარემ მოწინააღმდეგეს დადგენილი წესით გაუცვალა გამოკითხვის ოქმი სხვა მტკიცებულებებთან ერთად წინასამართლო სხდომამდე და წინასამართლო სხდომაზე ეს პირი შეყვანილი იყო არსებით სხდომაზე მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში.¹²⁰ წინასამართლო სხდომის მოსამართლემ დაამტკიცა მტკიცებულებათა ნუსხა (აღნიშნული პირიც დასაკითხ მოწმეთა სიაშია) და საქმე განსახილველად გადასცა არსებითი განხილვის კოლეგიას. დავუშვათ, აღნიშნული პირი ჩვენების მისაცემად პროცესზე ვერ/არ გამოცხადდა. ნებისმიერი მხარის უფლება - გამოიკვლიოს მოწმის ჩვენება და დაკითხოს იგი, ასევე, ბრალდებულის უფლება დაუპირისპირდეს ბრალდების მოწმეს და სხვა, - ვერ განხორციელდება მსგავს მოცემულობაში. შესაბამისად ნაკლებია სანდოობა გამოძიების ეტაპზე მიცემული

¹¹⁶ შეად. დე ვილდე ბ./ვოგლერი რ., მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, ბურჯანაძე გ., ჩიტინე გ., ჯეირანაშვილი ნ. (რედ.), თბილისი, 2015, გვ. 69.

¹¹⁷ საქართველოს სსსკ, მუხლი 3 (24).

¹¹⁸ მითიაშვილი მ., მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ქ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, გვ. 96.

¹¹⁹ საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (2);

¹²⁰ იხ.: ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 378.

ინფორმაციისადმი, რადგან ვერ შემოწმდება და შემცირდება მტკიცებულებითი ხარისხი ამგვარი ჩვენებისა საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლისთვის; გამამტყუნებელ განაჩენში მოსამართლე ვერ დაეყრდნობა მხოლოდ ამ ჩვენებას.¹²¹ სახელდებით ამგვარი ჩანაწერი ნიშნავს თუ არა იმას, რომ გამამტყუნებელი განაჩენისათვის საჭირო აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის სტანდარტი შედგეს ამგვარი მტკიცებულებისა და სხვა ერთი მტკიცებულების ერთობლიობით? ანუ, უფრო მარტივად, რომ ვთქვათ, დადგება თუ არა გამამტყუნებელი განაჩენი დაუსწრებელი მოწმისა და სხვა პირდაპირი მტკიცებულების ერთობლიობით.

ზოგადად, განაჩენის გამოსატანად საჭირო მტკიცებულებით სტანდარტზე უნდა ითქვას, რომ როდესაც საქმეში მოიპოვება რამდენიმე პირდაპირი მტკიცებულება მოსამართლე იმსჯელებს მათზე განაჩენში, და აქედან გამომდინარე, იმაზე პირი დამნაშავეა თუ უნდა გამართლდეს. თითოეულ შემთხვევაში მას ექნება მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელზე დაყრდნობითაც გამოაქვს განაჩენი (გამამართლებელი ან გაგამტყუნებელი). თუ როგორ შეაჯერებს ერთმანეთთან და გაიზიარებს ამ ჩვენებებიდან თუ დასკვნებიდან მტკიცებულებით ინფორმაციას ეს თითოეული მოსამართლის განსჯაზე და სიბრძნეზეა დამოკიდებული, მაგრამ საერთოა ის, რომ კანონი ყველასთვის ადგენს ერთიან წესს, რომელსაც ნებისმიერი გადაწყვეტილება (ამ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენი) უნდა აკმაყოფილებდეს -, ეყრდნობოდეს სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს და ეს მტკიცებულებები შეთანხმებულად, გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენას; თითოეული მტკიცებულება ერთად უნდა ადასტურებდეს რომ ბრალდებულმა ჩაიდინა ბრალად შეარაცხული ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანი.¹²² ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში.¹²³

პირდაპირი მტკიცებულებები არაპირდაპირ მტკიცებულებებთან (მათ შორის, ირბი ჩვენება (Hearsay)) ერთად, ამტკიცებენ საქმისთვის მნიშვნელოვან გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებას. გამამტყუნებელი განაჩენისათვის საჭირო მტკიცებულებით

¹²¹ საქართველოს სსსკ, მუხლი 118 (3); საქართველოს სსსკ, მუხლი 243 (1).

¹²² სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სასმართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილი სპეციალური კომისია, თბილისი, 2015, გვ. 52.

¹²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. 41.

სტანდარტი მოიცავს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას.¹²⁴ სწორედ ამ სულისკვეთებით უნდა განიმარტოს 118-ე მუხლის მუხლის დათქმა რომ მხოლოდ აღნიშნული სახის მტკიცებულებაზე არ უნდა იყოს დაყრდნობილი განაჩენი (ისევე, როგორც ირიბი ჩვენების შემთხვევაში¹²⁵); იმიტომ რომ მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა გამოძიების ეტაპზე სასამართლოში დასაკითხად გამოცხადებული მოწმისგან სათანადო წესით მიეღო და გამოეკვლია ჩვენება, ამიტომ ამ ჩვენების სანდოობა და გაზიარებადობა სასამართლოს მხრიდან საკანონმდებლო დონეზე იზღუდება.¹²⁶ კანონმდებელი სასამართლოს უწესებს წინაპირობას, რომ არ დააყრდნოს განაჩენი საკამათო მტკიცებულებას, რათა „მართლმსაჯულება, არ იქნეს დაუსტებელი ისეთი მტკიცებულებითი სტანდარტით, რომელიც მიუკერძოებულ ადამიანს, საზოგადოებას გაუჩენს ეჭვს უდანაშაულო პირის მსჯავრდების შესახებ.“¹²⁷ უფრო კონკრეტულად, სასამართლომ დაუსწრებელი მოწმის დეპონირებულ ჩვენებას არ უნდა დააყრდნოს განაჩენი არც სხვა პირდაპირ მტკიცებულებასთან ერთად,¹²⁸ კოდექსის 243-ე მუხლში მოცემული რომელიმე შემთხვევის გამო პროცესზე გამოქვეყნებული, დაუსწრებელი მოწმის წინასასამართლო ჩვენება, სხვა, ერთ პირდაპირ მტკიცებულებასთან ვერ შექმნის იმ აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც სხვა მტკიცებულებასთან ერთად დაადასტურებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენას.¹²⁹ ევროპული კონვენცია სრულად არ კრძალავს იმ მტკიცებულებათა გამოყენებას, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული შეჯიბრებითი სამართალწარმოებისას, მაგრამ ამ გარემოებების არსებობისას სასამართლო ადგენს, რომ ამ მტკიცებულებას „განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ“.¹³⁰ რა თქმა უნდა მოსამართლეს ამ მტკიცებულების შესახებ მსჯელობისას, მისი გაზიარება-არ გაზიარებისას, ყოველთვის უნდა ჰქონდეს მხდევლობაში რომ მხარეს არ აქვს სრულყოფილი შესაძლებლობა გამოიკვლიოს სასამართლო პროცესზე ეს მტკიცებულება სრულად და ყოველმხრივად, ხოლო იმ მოწმის დეპონირებული ჩვენების შემთხვევაში, რომელიც

¹²⁴ საქართველოს სსსკ, მუხლი 13 (2).

¹²⁵ იხ. საქართველოს სსსკ, მუხლი (76) (3).

¹²⁶ იხ. საქართველოს სსსკ, მუხლი 118 (3).

¹²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. 43.

¹²⁸ *აქუბარდია ი.*, გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, ქ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, გვ. 7.

¹²⁹ იქვე, გვ. 14-15.

¹³⁰ S. N. შვედეთის წინააღმდეგ (S. N. v. Sweden), ციტირებული ზემოთ, პარ. 53; ციტირებულია სახელმძღვანელოდან: *ლიჩი ფ.*, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, ე. ლომთათიძის, ლ. ჩხეტიას, ქ. აბაშიძისა და ნ. თოფურიძის თარგმანი, თბილისი, 2013, გვ. 364.

მიღებულია დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე, არ აქვს შესაძლებლობა დაკითხოს ბრალდების მოწმე,¹³¹ გავლენა მოახდინოს სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე,¹³² დააყენოს ექვემდებარებაში აღწერილი მოვლენები თუ მათი ქრონოლოგია და ა.შ.. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ გარანტიებს ვერც არსებითი განხილვის დროს ახორციელებს მხარე, კანონმდებლობა უშვებს ამგვარი ჩვენება სხვა, ერთ პირდაპირ მტკიცებულებასთან ერთად გამატყუნებელ განაჩენს დაედოს საფუძვლად. აქვე უნდა ითქვას, რომ ევროპული სასამართლოს შეფასება ამ საკითხის ბრალდებულის გარანტირებული უფლების ან სამართლიანი სასამართლოს ჭრილში დამოკიდებულია იმაზე ამოწურულია თუ არა მოწმის პროცესზე წარმოდგენის ყველა გონივრული საშუალება ან/და ამგვარი ჩვენება არის თუ არა ერთადერთი ან მნიშვნელოვანი საფუძველი პირის მსჯავრდებისთვის.¹³³

დაუსწრებელი მოწმის წინასასამართლო ჩვენება, რომელიც გამოძების ეტაპზე მიღებულია მეორე მხარის დასწრების გარეშე, არ უნდა იგულისხმებოდეს ობიექტურად არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში; აღნიშნული სახის მტკიცებულებას არ აქვს სანდოობის საკმარისად მაღალი ხარისხი. საქართველოს სსსკ-ის 118-ე მე-3 ნაწილში „აქცენტი უნდა გაკეთდეს სხვა მტკიცებულებებზე (და არა სხვა მტკიცებულებაზე)“,¹³⁴ რათა აშკარად და დამაჯერებლად არსებობდეს შეთანხმებულ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

სწორედ ამგვარად უნდა განიმარტოს საერთო სასამართლოს მიერ, მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მტკიცებულების ბედი, რათა „[...] თავისუფალ საზოგადოებაში თითოეულ პირს ჰქონდეს იმის რწმენაცა და სამართლებრივი გარანტიაც, რომ სახელმწიფო არ მოახდენს მის მსჯავრდებას, თუკი სამართლიანი

¹³¹ ევროპული კონვენცია, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹³² სწორედ მხარის ამ ინტერესებზე საუბრობს საკონსტიტუციო სასამართლო ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N2/13/1234, 1235 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. 22; ასევე, იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, პარ. 18.

¹³³ იხ.: ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom) საქმე, ციტირებული ზემოთ, პარ. 119.

¹³⁴ *აქუბარდია ი.*, გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, ქ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, გვ. 7.

სასამართლო პროცესის შედეგად, ყველაზე მაღალი დამაჯერებლობით (სიზუსტით) არ დარწმუნდება პირის ბრალეულობაში.¹³⁵

2.5. მოწმის ჩვენების სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენება

გამოძიების ეტაპზე გამოკითხვა/დაკითხვის მთავარი საკითხი უკავშირდება ჩატარებული გამოკითხვის/დაკითხვის ოქმის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად დაშვებისა და ამ გზით მიწოდებული ინფორმაციის განაჩენში გამოყენების/ასახვის საკითხს.¹³⁶

2.5.1. გამოკითხვის ოქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა

გამოკითხვის შესახებ მსჯელობისას აღვნიშნეთ, რომ შესაბამის პირობებში გამოკითხვის ოქმის მტკიცებულებად გამოყენება დასაშვებია. აღნიშნული „შესაძლებლობის გაჩენა უკავშირდება საქართველოს სსსკ-ში ცვლილებების შეტანას, როდესაც 2016 წლის 20 თებერვლიდან უარი ითქვა გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის ძველ წესზე და ძალაში შევიდა მოწმის დაკითხვის ახალი წესი.“¹³⁷ გამოკითხვის წესის პირველი საკანონმდებლო ცვლილების¹³⁸ შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხვის, როგორც საპროცესო მოქმედების მიმართ ნდობის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა; იქედან გამომდინარე, რომ ცვლილებამდე გამოკითხვის წესში არ იყო გათვალისწინებული გამოსაკითხი პირის გაფრთხილება შესაძლო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე და პირის პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.¹³⁹ მაგრამ შეუძლია თუ არა ამას გამოკითხვის ოქმი გახადოს იმდენად სანდო, რომ სასამართლო განხილვის შემდეგ ეტაპებზე დაუკითხველობის შემთხვევაში (მაგ., გამოკითხული პირის გარდაცვალება) იგი გამოყენებული იყოს მტკიცებულებად და მართლმსაჯულების მაღალი ინტერესები არ შეილახოს? - პასუხია რომ არა, არ შეუძლია გამოსაკითხი პირის შესაძლო პასუხისმგებლობაზე გაფრთხილებამ გახადოს სანდო გამოკითხვის

¹³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარ. 43.

¹³⁶ *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 20-21.

¹³⁷ იქვე, გვ. 21.

¹³⁸ საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის კანონი №4677 - ვებგვერდი, 29.12.2015წ.

¹³⁹ საქართველოს სსსკ, მუხლი 113 (5), (6), (7).

ოქმში/მისი ავტორის მიერ გაცხადებული ინფორმაცია იმ მასშტაბით, რა მასშტაბსაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მოიცავს.¹⁴⁰ ამას ამბობს სსსკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში პასუხი ასეთი ცალსახა არაა. მივყვეთ მოვლენების განვითარებას.

გამოკითხვის ოქმის სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა თავისი შედეგით დაკავშირებულია კონკრეტულ, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში მხარეთა ინტერესებისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვასთან. იმისთვის, რათა გავანალიზოთ ამ უფლებების მიმართება სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის დებულებებთან განხილვით (კოდექსით გათვალისწინებული) რამდენიმე შესაძლო განვითარება:

ა) გამოძების ეტაპზე მოქალაქე გამოკითხა მხარემ დადგენილი წესის მიხედვით. გამოკითხული პირი გამოცხადდა არსებით სხდომაზე მოწმის სახით ჩვენების მისაცემად საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის წინაშე. არსებითი განხილვის სხდომაზე მხარემ იშუამდგომლა, გამოკითხვის ოქმის საჯაროდ წაკითხვის/გამოქვეყნების თაობაზე. მოსამართლე ვალდებულია დააკმაყოფილოს აღნიშნული შუამდგომლობა, რადგან კოდექსი მოსამართლეს იმპერატიულად უთითებს ამ შუამდგომლობის გადაწყვეტის ერთადერთ გზას - დააკმაყოფილებას.¹⁴¹ ცხადია, ამ მოცემულობაში, გამოკითხვის ოქმი არსებითი განხილვის სხდომაზე გადაიქცევა მტკიცებულებად იმ სახით, რა სახითაც ის იყო მოცემული გამოძების ეტაპზე. მას შემდეგ, რაც მოწმე ჩვენებაში იმავე გარემოებებს დაადასტურებს (გაიმეორებს), რასაც გამოკითხვის ოქმში, ეს იქნება უკვე „მოწმის ჩვენება“¹⁴² და გამოკითხვის ოქმს დამოუკიდებელი მტკიცებულებითი მნიშვნელობა აღარ ექნება. ასეთ სიტუაციაში გამოკითხვის ოქმმა „შესაძლებელია, მხოლოდ გაიზარდოს ამ მოწმის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენების სანდოობის ხარისხი“.¹⁴³

ბ) გამოიძების ეტაპზე გამოსაკითხი პირი ბრალდების მხარის მიერ გამოიკითხა დადგენილი წესის მიხედვით და სასამართლოში საქმის არსებით განხილვაზე ჩვენების მისაცემად არ გამოცხადდა ან იმავე შემთხვევაში გარკვეული სამართლებრივი სირთულეების გამო მოწმის დაკითხვა შეუძლებელია, მაგ.,

¹⁴⁰ შეად. „გონივრულ ეჭვს მიღმა“ შეფასების მასშტაბები სტატიაში: *Weinstein J. B., Dewsbury I., Comment on the meaning of 'proof beyond a reasonable doubt', "Law, Probability and Risk", 5(2), 2006, გვ. 170-171.*

¹⁴¹ საქართველოს სსსკ, მუხლი 243 (2).

¹⁴² სსსკ-ის მე-3 (24) მუხლის მნიშვნელობით.

¹⁴³ მეიშვილი ზ., მოწმეთა დაკითხვა გამოძების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 22.

საინტერესო შემთხვევა შეიქმნა საქმეში უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ,¹⁴⁴ სადაც ოჯახურ ძალადობაში მსჯავდებულმა განმცხადებელმა ვერ შეძლო სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე დაეკითხა მისი ცოლი და გერი, რომლებიც ბრალდების ერთადერთი და მთავარი მოწმეები იყვნენ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებებისა, რადგან მათ, როგორც ახლო ნათესავებმა, უარი თქვეს სასამართლოში ჩვენების მიცემაზე. საქმეში დადგინდა კონვენციის მე-6 (1) მუხლის დარღვევა მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში, იმ მიზეზით, რომ ბრალდება ძირითადად დაეფუძნა აღნიშნული მოწმეების პოლიციაში გაკეთებულ განხადებებს და ეს განცხადებები სასამართლოს მხრიდან, არა უბრალოდ ინფორმაციად, არამედ ბრალდებს სისწორის დამადასტურებლად იყო ჩათვლილი.¹⁴⁵ მსგავს შემთხვევაში საპროცესო კოდექსი 243-ე მუხლის საფუძველზე იძლევა შესაძლებლობას მოწმის არსებით პროცესზე დაუკითხველობის შემთხვევაში გამოკითხვის ოქმი გამოყენებული იყოს მტკიცებულებად. ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დადგენილია კონკრეტული მიზეზები, რომელთა არსებობისას შესაძლებელია გამოძიების ეტაპზე გამოკითხული პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არსებით სხდომაზე საჯაროდ გამოქვეყნდეს - კოდექსის მიხედვით ეს გარემოებებია: მოწმის გარდაიცვალა, მისი საქართველოში არყოფნა, მისი ადგილსამყოფელი დაუდგენლობა, ან როდესაც ამოწურულია სასამართლოს წინაშე მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა.¹⁴⁶ ასეთ სიტუაციაში, მხარეები განიხილავენ ამ მტკიცებულების შინაარსს, მის ფაქტობრივ მნიშვნელობას და სასამართლო განაჩენის გამოტანისას მას დაეყრდნობა, თუმცა გარკვეული საპროცესო შეზღუდვების გათვალისწინებით. უკანასკნელი შემთხვევა საინტერესოა განსახილველ თემასთან მიმართებით.

საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა შეზღუდვას აწესებს ისეთ მტკიცებულებების სანდოობასთან დაკავშირებით, რომელთა უშუალო და ზეპირი გამოკვლევა არ მომხდარა/შეუძლებელია.¹⁴⁷ ჩვენს მიერ ზემოთაღწერილი სიტუაციის

¹⁴⁴ უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ (Unterpertinger v. Austria), ციტირებული ზემოთ; იხ. უნტერპერტინგერის (Unterpertinger) საქმის შედარება აშის (Asch) საქმესთან, წიგნში: *ტრექსელი შ.* (ს. ჯ. სამერსის დახმარებით), ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 313.

¹⁴⁵ უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ (Unterpertinger v. Austria), ციტირებული ზემოთ, პარ. 33.

¹⁴⁶ საქართველოს სსსკ, მუხლი 243 (1).

¹⁴⁷ შეად. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო და არსებითი განხილვის კოლეგიის 2016 წლის 30 მაისის განაჩენი, საქმე N 1/1740-15, პუნქტი 2.23; ციტირებული კვლევიდან: *მჭედლიძე ნ.*, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წლის იანვარი, გვ. 145.

განვითარების შემთხვევაში მხარეები, განსაკუთრებით ბრალდებული, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ჯვარედინი დაკითხვის წესით დაუპირისპირდნენ ამ მოწმეს. ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „ჩვეულებრივ, ყველა მტკიცებულება სასამართლოს უნდა წარედგინოს ბრალდებულის თანდასწრებით, რათა მოხდეს მათი განხილვა შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოწმემ ინფორმაცია ყოველთვის სასამართლოში, საჯაროდ უნდა მისცეს, რათა იგი მტკიცებულებად იქნეს დაშვებული; გამოძიების ეტაპზე პირის მიერ გაკეთებული განცხადებების სასამართლოს მიერ გამოყენება თავისთავად არ არღვევს მე-6 მუხლის პირველ პუნქტსა და მესამე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს იმ პირობით, თუ დაცვის უფლება გარანტირებულია.“¹⁴⁸ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებამ არ უნდა შეუშალოს ხელი დაცვის უფლების განხორციელებას და არ უნდა იყოს შეუსაბამო ბრალდებულის ძირითად საპროცესო უფლებებთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, პირთა განცხადებებთან/ჩვენებებთან მიმართებით დაცვის უფლების განხორციელების შეფასებისას ხელმძღვანელობს პრინციპებით, რომელიც ალ-ხავაჯას და ტაჰერის საქმეშია დადგენილი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პირველ რიგში, ამოწმებს მოწმის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზს და მის საფუძვლიანობას, მათ შორის, შესაბამისმა ორგანოებმა გასწიეს თუ არა გონივრული ძალისხმევა მოწმის პროცესზე გამოცხადების უზრუნველ-ყოფისათვის; და მეორე, ამის შემდეგ, ევროპული სასამართლო შეაფასებს არის თუ არა პირის წინააღმდეგ სათანადო წესით გამოუკვლეველი მტკიცებულება ერთადერთი, ანუ დადგენილია თუ არა პირის მსჯავრდება ძირითადად ამ მტკიცებულებაზე დარდნობით. მეორე პრინციპის მიხედვით, დაუსწრებელი მოწმის ჩვენება არ უნდა იყოს ერთადერთი ან გამამწყვეტი (“sole or decisive” ე.წ. „ერთადერთი ან გამამწყვეტი მტკიცებულების წესი“¹⁴⁹) საფუძველი ბრალდებულის მსჯავრდებისათვის.¹⁵⁰

ალ-ხავაჯას და ტაჰერის საქმეში დადგენილი წესი ამოწმებს ბრალდებულის მიერ მოწმის დაკითხვის შეუძლებლობამ აქცია თუ არა საქმე მთლიანობაში „უსამართლოდ“, ანუ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება და დაცვის მხარის შეუძლებლობა, რომ ვერ გამოიკვლიეს მოწმის ჩვენება სათანადო გარანტიის მიხედვით იყო თუ არა შეუსაბამო კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“

¹⁴⁸ აში აესტრიის წინააღმდეგ (Asch v. Austria), ციტირებული ზემოთ, პარ. 27.

¹⁴⁹ ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom), ციტირებული ზემოთ, პარ. 119;

¹⁵⁰ Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right for a fair trial (criminal limb), 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გვ. 80, პარ. 446.

ქვეპუნქტთან ან/და მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში. ამ წესით შეგვიძლია განვსაზღვროთ წინასწარ გამოძების პროცესის განვითარება რა შედეგს იქონიებს ჩვენს მიერ აღწერილი შესაძლო განვითარების ალტერნატივა უკვე საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით იქნება თუ არა შესაბამისი გამოკითხვის/მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე ჩატარებული დაკითხვის ოქმის გამოქვეყნება საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მიხედვით სამართლიანი სასამართლოს ცნებასთან (დაცვის მხარის უფლებებთან) უნდა შეფასდეს საქმის მთლიანი გარემოებებიდან გამომდინარე. ევროკომისისამ ერთ-ერთ ქრესტომათიულ გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა, რომ „კონვენციის მე-6 მუხლი არ ადგენს „სამართლიანი სასამართლოს“ ცნებას სისხლის სამართლის საქმეში. აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილი ჩამოთვლის გარკვეულ სპეციალურ უფლებებს, რომლებიც ადგენს ამ ზოგადი ცნების აუცილებელ ელემენტებს,[...]“.¹⁵¹ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გარემოებები, რაც კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტშია ჩამოთვლილი სამართლიანი მართლმსაჯულების კონკრეტული გამოხატულებებია (თავის მხრივ ეს ჩამონათვალი უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, იმდენად რამდენადაც სამართლიანობის ცნება შეიძლება შეიცავდეს უამრავ პირობას სამართალწარმოებისას). უფრო კონკრეტულად კი, მოწმეთა დაუკითხველობის და მტკიცებულებათა გამოუკვლევლობის საკითხი ფართოდ უკავშირდება სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოსათვის იმის შეფასებას, იყო თუ არა პროცესი სამართლიანი, რამდენადაც ბრალდებულის აღნიშნული გარანტია სამართლიანი სასამართლო განხილვის შემადგენელი ნაწილია. მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცედურულ საკითხები ეროვნული სასამართლოების მიხედვლების ფარგლებშია, თუმცა იმას ამ მტკიცებულებებისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის საფუძველზე რამდენად დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღო მხარემ, ევროპული სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლში ჩამოთვლილი სამართლიანი პროცესის კონკრეტული ასპექტების მიხედვით შეაფასებს.¹⁵² მიუხედავად აღნიშნულისა სრულიად შესაძლებელია არსებობდეს გარემოებები, როდესაც „დაცვის მხარეს პროცესის რომელიმე ეტაპზე შეზღუდული ჰქონდეს კონკრეტული საპროცესო ღონისძიებით სარგებლობის შესაძლებლობა, თუმცა სხვა ეტაპზე არსებობდეს შეზღუდვის დამაბალანსებელი რაიმე მექანიზმი და

¹⁵¹ ნილსენი დანიის წინააღმდეგ (Nielsen v. Denmark), გან. N 343/57, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1960 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, პარ. 52.

¹⁵² შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განაჩენი საქმეზე №334აპ-18, პუნქტი 15.

ამით, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულის უფლებათა ეფექტური რეალიზაცია და პროცესის სამართლიანობა¹⁵³ ანუ ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო შეაფასებს უფლების განუხორციელებლობის საკმარისად დასაბუთებული (და შეზღუდული უფლების დამაბალანსებელი) საშუალებების არსებობას და ასევე, შეეძლო თუ არა მას გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების სამართლიანობაზე. სწორედ ამ საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს თავის განსხვავებულ აზრში მოსამართლე ალბუკერკი,¹⁵⁴ რომ შეფასებები იმის შესახებ უფლების დარღვევა/მიუღებლობა მაინც ვერ მოახდენდა საბოლოო შედეგზე ზეგავლენას სპეკულაციურია, რადგან იქცევა მსჯელობად იმის შესახებ „თუ რა შეიძლება მომხდარიყო ალტერნატიულ სამყაროში“.¹⁵⁵ უცნობია როგორ განვითარდებოდა პროცესი, განსახილველ შემთხვევაში, ბრალდებულს რომ ჰქონოდა შესაძლებლობა დაეკითხა მოწმე გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის წინაშე ან გაეკეთებინა სხვა განცხადება და ა.შ.¹⁵⁶

შესაბამისად, ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში, „სამართლიანობის“ შეფასებისას სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს განსაკუთრებული ყურადღებით, ობიექტური გარემოებების გამო შეზღუდული უფლების საკმარისად დამაბალანსებელი ფაქტორების გამოყენებით.¹⁵⁷ მსგავსი დასაბუთების პრაქტიკული მაგალითი, მოცემულია საქართველოს საერთო სასამართლოების კვლევაში განხილულ განაჩენში;¹⁵⁸ ხსენებულ განაჩენში მოსამართლემ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე განმარტა, რომ არსებითი განხილვის პროცესზე გამოქვეყნებული დაუსწრებელ მოწმეთა წინასასამართლო ჩვენებები გამყარებული არ იყო სხვა არცერთი მტკიცებულებით და სწორედ ამ მტკიცებულებებს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრალდებულთა

¹⁵³ იქვე, პარ. II-83.

¹⁵⁴ იხ.: მურთაზალიევა რუსეთის წინააღმდეგ (Murtazaliyeva v. Russia), გან. N 36658/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2018 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, მოსამართლე პინტო დე ალბუკერკის განსხვავებული აზრი, პარ. 50.

¹⁵⁵ Supreme Court of the United States, United States v. Gonzalez-Lopez, 548 U.S. 140, 149 (2006), ციტირებულია საქმიდან: მურთაზალიევა რუსეთის წინააღმდეგ (Murtazaliyeva v. Russia), ციტირებული ზემოთ, მოსამართლე პინტო დე ალბუკერკის განსხვავებული აზრი, პარ. 50.

¹⁵⁶ შეად. მურთაზალიევა რუსეთის წინააღმდეგ (Murtazaliyeva v. Russia), ციტირებული ზემოთ, მოსამართლე პინტო დე ალბუკერკი პარ. 50.

¹⁵⁷ იხ.: საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე N147, 2011 წლის დეკემბერი, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-120282>.

¹⁵⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო და არსებითი განხილვის კოლეგიის 2015 წლის 29 იანვრის განაჩენი, საქმე N 1/4503-14, გვ. 17-18; იხ. კვლევაში: *მჭედლიძე ნ.*, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წლის იანვარი, გვ. 138-144.

მსჯავრდებისთვის. ასევე, მოწმეთა ჩვენებების უტყუარობასა და სანდოობასთან დაკავშირებით არსებობდა ეჭვები. შესაბამისად, აღნიშნული ჩვენებები არ უნდა ყოფილიყო განაჩენის საფუძველი.

დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „ასეთი მტკიცებულებების [დაუსწრებელი მოწმის ჩვენების] მნიშვნელობის გათვალისწინებით მათზე დაყრდნობით მსჯავრდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები [და შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისი], თუ მტკიცებულება საკმარისად სარწმუნოა.“¹⁵⁹ ამდენად, უნდა არსებობდეს საკმარისი საპირწონე ფაქტორები, მძლავრი საპროცესო გარანტიების ჩათვლით, რომლებიც უზრუნველყოფს გამოკითხული პირის სასამართლოში არ გამოცხადებისას სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით გამოკითხვის ოქმის უტყუარობის სამართლიან და ჯეროვან შეფასებას. მსგავსი გარანტია ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე გათვალისწინებულია, კერძოდ, მხოლოდ საჯარო გამოქვეყნებით მიღებული მსგავსი მტკიცებულება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად ვერ დაედება.¹⁶⁰

2.5.2. მოწმის დაკითხვა მეორე მხარის ინფორმირებისა და დასწრების გარეშე (სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-9 ნაწილი)

წინა ქვეთავში განხილული საკითხი ლოგიკურ გაგრძელებას პოვებს გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვასთან, იმ მიმართებით, რომ გამოძიების ეტაპზე არსებული სამართალწარმოება გამოკითხვა/დაკითხვის სახით საბოლოოდ ასახვას პოვებს სისხლის სამართლის საქმის კონკრეტულ განაჩენზე.

გამოძიების ეტაპზე საქართველოს სსსკ-ის 114-ე მუხლის საფუძველზე დაკითხული მოწმის ჩვენების მხედველობაში მიღებისას უნდა იყოს გათვალისწინებული მთელი რიგი გარემოებები, რათა ამ მტკიცებულებებმა შეინარჩუნონ კონვენციისა და კონსტიტუციის მიხედვით დადგენილი პრინციპების გაგებით სამართლიანი და კანონიერი ბუნება. საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს წესებს, რომლთა საფუძველზეც მხარე უფლებამოსილია დაკითხოს გამოძიების ეტაპზე მოწმე. ე. წ. ძირითადი წესის გარდა,¹⁶¹ არსებობს ორი კერძო შემთხვევა, რაც წარმოშობს გარკვეულ ინტერესსა და ეჭვებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის

¹⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, გვ. 80, პარაგრაფი 316;

¹⁶⁰ საქართველოს სსსკ, მუხლი 243 (1).

¹⁶¹ საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (1).

თვალსაზრისით - (1) სსსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილი, ე.წ. ბრალდების მხარის უპირატესი უფლება და (2) სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

მოგეხსენებათ, ბრალდების მხარის მიერ უპირატესი უფლების სარგებლობის შემთხვევაში დაკითხვის სხდომაზე დაცვის მხარე არ ესწრება,¹⁶² ხოლო მართლმსაჯულების ინტერესებთან გამომდინარე ან/და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დაკითხვა ჩატარდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე.¹⁶³ საპროცესო კანონი შესაძლო რისკებისგან დასაზღვევად ითვალისწინებს, რომ თუ შესაძლებელია არსებით სხდომაზე მოწმის ხელახალი დაკითხვა გამოძიების ეტაპე მიცემული ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა.¹⁶⁴ მაგრამ, მაინც რჩება შესაძლებლობა, თუ მოწმის ხელახალი დაკითხვა არ იქნება შესაძლებელი, მოწმის ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებად ჩაითვალოს.¹⁶⁵ შესაბამისად, მხარეს არ რჩება საშუალება გამოიკვილოს აღნიშნული მტკიცებულება, რაც არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს. ასეთ სიტუაციაში, ასევე, შესაძლებელია გამატყუნებელ განაჩენს დაედოს საფუძვლად მტკიცებულება, რომლის გამოკვლევის საშუალება ბრალდებულს და მის ადვოკატს არ მისცემიათ; ანუ, მივიღებთ ისეთივე სიტუაციას, როგორც ე.წ. ბრალდების მხარის უპირატესი უფლების შემთხვევაში განვიხილეთ.¹⁶⁶

2.5.3. შეჯამება

ეროვნული კანონმდებლობა ამგვარი რისკის დაზღვევად, ისევე როგორც გამოკითხვის შემთხვევაში, აწესებს, რომ საქმის არსებითი განხილვისას დაუსწრებელი მოწმის წინასასამართლო ჩვენება/პირის გამოკითხვის ოქმი არ შეიძლება გამატყუნებელ განაჩენს დაედოს საფუძვლად.^{167,168}

¹⁶² საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (10).

¹⁶³ საქართველოს სსსკ, მუხლი 114 (9).

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ აქუბარდია ი., გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, გვ. 6.

¹⁶⁶ ნაშრომის 2.1.1.2.1. ნაწილი.

¹⁶⁷ საქართველოს სსსკ, მუხლი 118 (3).

¹⁶⁸ საქართველოს სსსკ, მუხლი 243 (1).

ამასთან, განვიხილეთ აღნიშნული დებულება გამამტყუნებელი განაჩენისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობის ჭრილში (რომელთა მოპოვებისკენაა მიმართული მთელი გამოძიების პროცესი). უნდა ითქვას, რომ დაუსწრებელი მოწმის ჩვენება სხვა ერთ პირდაპირ მტკიცებულებასთან ერთად ვერ შექმნის ერთობლიობას გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. იგი მხოლოდ სუბსიდიარული (დამატებითი) ხასიათის თუ იქნება, რადგან კანონმდებელი და საერთაშორისო პრაქტიკა შეუთავსებლად ჩათვლის სამართლიანი სასამართლოს ცნებათან, თუ ამგვარი მტკიცებულება ერთადერთ ან „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ აღმოჩნდება პირის მსჯავრებისათვის.¹⁶⁹ ცხადია, აღნიშნული სახის მტკიცებულება ვერც ბრალდებულის აღიარებასთან¹⁷⁰ და ვერც ირიბ ჩვენებასთან¹⁷¹ ერთობლიობაში ვერ შექმნის გამამტყუნებელი განაჩენისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას; „იმის შეფასება, თუ რამდენადაა მტკიცებულება გადამწყვეტი, დამადასტურებელი მტკიცებულებების მტკიცებით ძალაზეა დამოკიდებული. რაც უფრო დიდია დამადასტურებელი მტკიცებულებების მტკიცებითი ძალა, დაუსწრებელი მოწმის ჩვენება „გადამწყვეტად“ ვერ ჩითვლება.“^{172,173}

2.6. რეკომენდაციები კანონმდებლობის სრულყოფისათვის

გამომძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის ნოვაციური წესი, გარკვეული ცვლილებით ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც ბრალდების მხარეს მისცა საშუალება გამოკითხვაზე უარის შემთხვევაში, პირი მაგისტრატ მოსამართლის წინაშე დაკითხოს. ბრალდების მხარეს აყენებს აშკარად უპირატეს მდგომარებაში მტკიცებულებების მოპოვების კუთხით და შეუსაბამოა მხარეთა თანასწორობისა და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპთან. აღნიშნული, ასევე, შეიცავს თავის თავში საფრთხეებს მოწმის დაკითხვის უფლების რეალიზებისა, იმ რეალურ სივრცეში, რომელიც,

¹⁶⁹ ტრესელი შ. (ს. ჯ. სამერსის დახმარებით), ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 316.

¹⁷⁰ საქართველოს სსსკ, მუხლი 13 (2).

¹⁷¹ საქართველოს სსსკ, მუხლი 74 (4).

¹⁷² მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წლის იანვარი, გვ. 140; ციტირებულია კვლევაში მოყვანილი გადაწყვეტილებიდან: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 იანვრის განაჩენი, საქმე N 1/4503-14, გვ. 13.

¹⁷³ ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom) საქმე, ციტირებული ზემოთ, პარ. 131; ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ (Schatschaschwili v. Germany), ციტირებული ზემოთ, პარ. 117.

სამართლიანი მართლმსაჯულების გზით „სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევას“ ისახავს მაღალ მიზნად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომში წარმოჩენილი საფრთხეების გასანეიტრალებლად რეკომენდაციის სახით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს შემდეგი საკითხები;

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია რომ მხოლოდ პროკურორს არ უნდა ჰქონდეს გამოსაკითხი პირის მოწმედ გამოძახების უფლება, როდესაც იგი უარს ამბობს გამოკითხვაზე. ამდენად უნდა გასწორდეს სსსკ-ის 114-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩანაწერი და შევიდეს ცვლილება, სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი რეკომენდაცია:

- (i) *დაცვის მხარეს მიეცეს უფლება გამოკითხვაზე პირის უარის შემთხვევაში მოწმის დაკითხვის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.*

ამასთან, როდესაც მხარე გამოკითხვაზე უარის საფუძვლით ითხოვს პირის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვას გადაწყვეტილების დასაბუთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმიტომ, რომ ამგვარი საფუძვლით დაკითხვა მოწინააღმდეგე მხარის დაუსწრებლობას გულისხმობს;

- (ii) *გაიწეროს მტკიცების სტანდარტი, რომელიც, ერთი მხრივ, პროკურორის მიერ სსსკ-ის 114-ე მეორე ნაწილის საფუძველზე სასამართლოსთვის მიმართვისას შუამდგომლობის დასაბუთებას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხს გაზრდის.*

ამასთან კავშირში უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაცია:

- (iii) *საჭიროა დადგინდეს მხარეებისათვის დასაბუთების გარკვეული სტანდარტი, როდესაც საქმე ეხება სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული, დაკითხვაზე მეორე მხარის დაუსწრებლობას, როგორც მხარის შუამდგომლობისთვის, ასევე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში.*

აღვნიშნავთ რა, მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებანი მოწმის დაკითხვის პროცესში არ არის ნათლად განსაზღვრული და ბუნდოვანია; და რომ, აღნიშნული დაუზუსტებლობა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებს ერთი მხრივ, ბრალდების მხარის უპირატესი უფლებითა და მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე მხარის დაუსწრებლობის შემთხვევებში მოწმის დაკითხვისას, ამდენად, შემოთავაზებული იქნება რეკომენდაცია:

(iv) *სისხლის სამართლის საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში ნათლად და ზუსტად განისაზღვროს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებები გამოძების ეტაპზე მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით.*

და ამასთანავე, გამოკითხვის ოქმის შემთხვევაში, პრაქტიკული კუთხით, უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაცია:

(v) *განისაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომა გამოკითხვის ოქმში პირის მიერ საკუთრი საიდენტიფიკაციო მონაცემების არასწორად მითითებისათვის.*

აღნიშნული რეკომენდაციები, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობდა გამოძების ეტაპზე გამოკითხვა/დაკითხვის პრაქტიკის დახვეწასა და კანონმდებლობის სრულყოფას.

დასკვნა

საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ით შემოღებული გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის ახალი წესი მიზნად ისახავს გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მოწმის ჩვენების სანდობისა და სარწმუნოების ხარისხის გაზრდას. საპროცესო კოდექსით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად - 2016 წლის 20 თებერვლიდან დაცვის მხარეს მიენიჭა გამოძიების ეტაპზე მოწმეთა დაკითხვის უფლებამოსილება, რაც ე.წ. წინა კოდექსის პირობებში მხოლოდ ბრალდების მხარის უფლებამოსილება გახლდათ.

თუმცა, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის წესის საკანონმდებლო რეფორმა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და კანონმდებლობა ამ კუთხით შესაბამის ცვლილებებს საჭიროებს.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების და მეორე მხრივ, საჯარო ინტერესებისა და გამოძიების ეფექტურობის საკითხების შეფასებისკენ მიმართული სამართლიანი და სათანადო ზომების მხედველობაში მიღება, რათა შესძლოს სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება იმ სამართლის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებას სამართლიანობისა და სიკეთის საზომით.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ნორმატიული მასალა

1. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 22/11/1969, სან-ხოსე;
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 04/11/1950, რომი;
3. აშშ-ის კონსტიტუცია, 17/10/1787;
4. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 16/12/1966;
5. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995;
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 13/08/1999, სსმ, 41(48);
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009, სსმ, 31.
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 20/02/1998, პარლამენტის უწყებანი, 13-14.
9. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 17/07/1998, რომი;
10. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება, 03/05/1993.

კანონში შეტანილი ცვლილებები:

- საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის კანონი №4677 - ვებგვერდი, 29.12.2015, იხ. ბმულზე: {<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3108887?publication=0#DOCUMENT:1>};

განმარტებითი ბარათი:

- განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, იხ. ბმულზე: {<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/103905?>}.

სამეცნიერო ლიტერატურა

ქართულენოვანი:

- ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით), თბილისი, 2015;
- გუცენკო კ. ფ./გოლოვკო ლ. ვ./ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, ი. ბოხაშვილის, თ. შაყულაშვილის, ვ. ხუციშვილისა და ნ. გოგნიაშვილის თარგმანი, გოგშელიძე რ. (რედ.), თბილისი, 2007;

- დე ვილდე ბ./ვოგლერი რ., მოწმის დაკითხვის წესის რეფორმა საქართველოში, ბურჯანაძე გ., ჩიტინე გ., ჯეირანაშვილი ნ. (რედ.), თბილისი, 2015;
- თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბილისი, იურისტების სამყარო, 2014;
- ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა (ე. ლომთათიძის, ლ. ჩხეტიას, ქ. აბაშიძისა და ნ. თოფურიძის თარგმანი), თბილისი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013;
- ტრექსელი შ. (ს. ჯ. სამერსის დახმარებით), ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009;
- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა; ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, (ციტირებულია ავტორის მიხედვით);
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ბმულზე: {[http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samartliani-sasamartlo-ganxilvis-upleba\(sisxli\).pdf](http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samartliani-sasamartlo-ganxilvis-upleba(sisxli).pdf)} (ნანახია 30.06.2019);
- საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევების კრებული, თბილისი, 2015, (ციტირებულია ავტორის მიხედვით);
- სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სასამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოში შექმნილი სპეციალური კომისია, თბილისი, 2015;

ინგლისურად:

- *Gehl R., Plecas D.*, Introduction to Criminal Investigation: Processes, Practices and Thinking, Justice Institute of British Columbia, New Westminster, 2016, წიგნი ხელმისაწვდომია ბმულზე: {<https://pressbooks.bccampus.ca/criminalinvestigation/>}(ბოლო ნახვა 30.06.2019);
- Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right for a fair trial (criminal limb), 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კვლევები:

- ადამიანის უფლებათა ცენტრი, მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, ხელმისაწვდომია ბმულზე: {[http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/reserch-geo%20\(1\).pdf](http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/reserch-geo%20(1).pdf)} (ბოლო ნახვა 30.06.2019);
- *მჭედლიძე ნ.*, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წლის იანვარი, ხელმისაწვდომია ბმულზე: {<https://rm.coe.int/168070a54c>} (ბოლო ნახვა 30.06.2019);

- მოსამართლის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში (ანგარიში), EMC, თბილისი, 2019, ხელმისაწვდომია ბმულზე: [\[https://emc.org.ge/uploads/products/pdf/მოსამართლის_როლი_1561546025.pdf\]](https://emc.org.ge/uploads/products/pdf/მოსამართლის_როლი_1561546025.pdf) (ბოლო ნახვა 30.06.2019).

სამართლის ჟურნალი/პერიოდული გამოცემები:

- *აქუბარდია ი.*, გამოძიების სტადიაზე დაკითხვის საპროცესო წესის სრულყოფის შესახებ, კრებულში: „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, გვ. 4-15;
- *აქუბარდია ი.*, შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, ჟურნალში: „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, მეორე გამოცემა, 2016 წლის აგვისტო, გვ. 11-14;
- *კუბლაშვილი კ.*, სისტემა, რომელიც შეექმენით სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების წინაპირობაა, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, N1 (24), 2010, 5-13;
- *მეიშვილი ზ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საქართველოს მაგალითზე), ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, N2 (50), 2016, გვ. 14-36;
- *მითაიშვილი მ.*, მოწმეთა დაკითხვა გამოძიების ეტაპზე (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), კრებულში: „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N3, 2018, გვ. 87-99;
- *მსხილაძე ლ.*, ბრალდებულის უფლება - მისცეს ჩვენება, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, N4 (52), 2016 გვ. 6-14;
- საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე N147, 2011 წლის დეკემბერი, პერიოდული გამოცემა ხელმისაწვდომია ბმულზე: [\[http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-120282 \]](http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-120282) (ბოლო ნახვა 30.06.2019)
- *შენგელია ს.*, მოწმის გამოკითხვა (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), ჟურნალში: „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, 2014, გვ. 151-161;
- *ჯორბენაძე ო.*, რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენისა და მოწმის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის თაობაზე, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, N1 (44), 2015, 5-14;
- *ჯორბენაძე ო.*, ხათაშვილი ე., რამდენიმე მოსაზრება ადამიანის უფლებათა შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლის, ბრალეულობის საკითხის განხილვისა და მოწმის დაკითხვის შესახებ, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, N1 (53), 2017, გვ. 5-18;
- *ჰეგერი მ.*, ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც

სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა, ჟურნალში: „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, მეორე გამოცემა, აგვისტო (2016), გვ. 3-10;

ინგლისურად:

- *Weinstein J. B., Dewsbury I.*, Comment on the meaning of ‘proof beyond a reasonable doubt’, ჟურნალში: “Law, Probability and Risk”, 5 (2), 2006, გვ. 167-173;
იხ. ბმულზე: { <https://academic.oup.com/lpr/article/5/2/167/927735> } (ნანახია 30.06.2019).

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენები

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო და არსებითი განხილვის კოლეგიის 2015 წლის 29 იანვრის განაჩენი საქმეზე №1/4503-14;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო და არსებითი განხილვის კოლეგიის 2016 წლის 30 მაისის განაჩენი საქმეზე №1/1740-15.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენები

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 8 მაისის განაჩენი საქმეზე №633აპ-17;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განაჩენი საქმეზე №334აპ-18.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

გადაწყვეტილება:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის N3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

კონსტიტუციური სარჩელი:

- კონსტიტუციური სარჩელი №1237 „საქართველოს მოქალაქე ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017/05/15.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება

- Supreme Court of the United States, United States v. Gonzalez-Lopez, 548 U.S. 140, 149, 26.06.2006;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილებები:

- აში ავსტრიის წინააღმდეგ (Asch v. Austria), გან. N 12398/86, 1991/26/04;
- კოსტოვსკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kostovski v. the Netherlands), გან. N 11454/85, 1989/20/11;
- ნილსენი დანიის წინააღმდეგ (Nielsen v. Denmark), გან. N 343/57, 1960/15/03;
- უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ (Unterpertinger v. Austria), გან. N 9120/80, 1986/24/11.

დიდი პალატის გადაწყვეტილებები:

- ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom), გან. N 26766/05 და გან. N 22228/06, 2011/15/12;
- მურთაზალიევა რუსეთის წინააღმდეგ (Murtazaliyeva v. Russia), გან. N 36658/05, 2018/18/12;
- პერნა იტალიის წინააღმდეგ (Perna v. Italy), გან. N 48898/99, 2003/06/05;
- ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ (Schatschaschwili v. Germany), გან. N 9154/10, 2015/15/12.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- კარპენკო რუსეთის წინააღმდეგ (Karpenko v. Russia), გან. N 5605/04, 2012/24/10;
- კრაქსი იტალიის წინააღმდეგ (Craxi v. Italy), გან. N 34896/97, 2002/05/12;
- მირილაშვილი რუსეთის წინააღმდეგ (Mirilashvili v. Russia), გან. N 6293/04, 2008/11/12;
- ტაალი ესტონეთის წინააღმდეგ (Taal v. Estonia), გან. N 13249/02, 2005/22/11;
- ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Kartvelishvili v. Georgia), გან. N 17716/08, 2018/07/06;
- ჰორნკასტლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Horncastle and others v. the United Kingdom), გან. N 4184/10, 2014/16/12;
- P.S. გერმანიის წინააღმდეგ (P.S. v. Germany) გან. N 33900/96, 2001/20/12;
- S. N. შვედეთის წინააღმდეგ (S. N. v. Sweden), გან. N 34209/96, 2002/02/07.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება დაუშვებლობის შესახებ

- მიკა შვედეთის წინააღმდეგ (Mika v. Sweden), გან. N 31243/06, 2009/27/01.

ინტერნეტწყარო:

- ✓ „მოწმეთა დაკითხვის წესი - საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტი და ძირითადი შენიშვნები“, *ლიბერალი*, 7 აგვისტო 2015 წ.,
{<http://liberali.ge/news/view/17958/motsmeta-dakitkhvis-tsesi--sakanonmdeblo-tsvlilebata-proeqti-da-dziritadi-shenishvnebi>} (ბოლო ნახვა 30.06.2019);
- ✓ „მოწმის დაკითხვის ახალი წესი - დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე“, *ლიბერალი*, 19 ნოემბერი 2015 წ.,
{<http://liberali.ge/news/view/19477/motsmis-dakitkhvis-akhali-tsesi--dakitkhva-magistrati-mosamartlis-tsinashe>} (ბოლო ნახვა 30.06.2019);